ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს | №32 (1662) | 5–7 მაისი, 1998წ. | ფასი 50 თეთრი

# „გუშინ იგორს ტელეფონით ვესაუბრე“...

## ...„ფრთხილად იყოს პრეზიდენტი!..“




მეორე გვერდი

## იქნება ვითომ რეპრესიები?..



მესამე გვერდი

## სანამ მტრისა და მოყვრის გარჩევას ვერ ვისწავლით...



მეშვიდე გვერდი

## გასული კვირის რამე-რუმე









მეორე გვერდი

## მკვიდრი მოსახლეობისაგან ჩრდილო ქართლის ეთნიკური წმენდის მიჩქმალვა ვეღარ ხერხდება




მეხუთე გვერდი

## უმწეოთა სადაზღვევო პოლისის მფლობელთა საყურადღებოდ!

მე-12 გვერდი

## პანტელეიმონ გიორგაძე:

# „გუშინ იგორს ტელეფონით ვესაუბრე“... „...ფრთხილად იყოს პრეზიდენტი!..“

*გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან პანტელეიმონ გიორგაძესთან.*

*რესპონდენტის თხოვნით თავს ვიკავებ კომენტარისაგან.*

**— ბატონო პანტელეიმონ, როგორც ცნობილია, აპრილის თვეში მოსკოვში ჩატარდა პოსტსაბჭოური ქვეყნების წარმომადგენელთა ასამბლეა, რომელშიც ქართველი დელეგატებიც მონაწილეობდნენ. ძირითადად რა საკითხი განიხილებოდა?**



— ასამბლეას ეწოდებოდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ასამბლეა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა. განვიხილეთ და დავამტკიცეთ ერთადერთი დოკუმენტი, რომელსაც ჰქვია: „ძირითადი დებულებანი მომავალი ხელშეკრულებისათვის“. ეს დოკუმენტი გამიზნულია მომავალი კავშირის აღდგენის შემდეგ სრულყოფილი ამოქმედებისათვის. ეს თვით ხელშეკრულება კი არა, არამედ ძირითადი მიმართულებაა, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული. უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო კომუნისტური ყრილობა. ამ ასამბლეას ესწრებოდნენ 80-მდე სხვადასხვა პარტიისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან. საქართველოდან სულ ოცდათოთხი კაცი იყო წარდგენილი. მათ შორის ოცი მანდატით. იყვნენ არაკომუნისტი დელეგატებიც, მაგალითად, მღვდელი. მოგეხსენებათ, მღვდელი არ შეიძლება იყოს კომუნისტური პარტიის წევრი. გარდა ამისა, შეკრებაში მონაწილეობას იღებდა პარლამენტის წევრი ვახტანგ გოგუაძე, რომელიც სიტყვითაც გამოვიდა. იყვნენ ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები, როგორიცაა დემოკრატიული განვითარების კავშირი. ასე რომ, საქართველოდან საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების ფართო სპექტრი იყო წარმოდგენილი.

**— არსებობს ვერსია, რომ საქართველოში უნდა შეიქმნას რუსეთის კომუნისტური პარტიის ორგანო. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს და შექმნის შემთხვევაში ხომ არ გამოიწვევს მეხუთე კოლონის ჩამოყალიბებას?**

— მსოფლიოში ოთხმოცდარვა კომუნისტური პარტია არსებობს, რომელთანაც საქართველოს ერთიან კომპარტიას საკმაოდ მჭიდრო კავშირი აქვს. ჩვენი პროგრამა ერთია: ხალხი ხელისუფლებაში, სოციალიზმი და ხალხთა მეგობრობის განვითარება. როგორ ფიქრობთ, რომელი პარტიის ორგანო ვართ ჩვენ: ბრაზილიის, ჩინეთისა თუ თურქეთის? არ შეიძლება საკითხის ასეთნაირად დაყენება.

ეხლა მე თქვენ გეკითხებით, თუ ჩვენ რომელიმე ქვეყნის კომპარტიის ორგანო ვართ, რატომ მაინცდამაინც რუსეთის და არა გერმანიის, სადაც ჩვენ 18 მაისს უნდა ჩავიდეთ. კომპარტია საბერძნეთში, ესპანეთში და სხვა სახელმწიფოებშიაც არსებობს. ჩვენ რა, მათი ორგანოები ვართ?! ამას მხოლოდ დლევანდელი „დემოკრატები“ ამბობენ.

**— საქართველოს „დემოკრატები“ რუსეთის დემოკრატების მეხუთე კოლონას წარმოადგენენ? შევარდნაძე როგორც პრეზიდენტი, ელცინის „უმცროსი ძმაა“?**

— ჩვენ ვართ საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია.

**— პარტიის ძირითადი კურსი რაში მდგომარეობს?**

— ჩვენი ძირითადი კურსია ხალხის ხელისუფლების აღდგენა საბჭოების სახით. სოციალიზმის განვითარება, არა შვედური, გერმანული თუ სხვა, არამედ ქართული სოციალიზმის, რომელსაც ქართველი ხალხი კარგად იცნობს. გვინდა სოციალისტური ბაზრის აღდგენა. ამ ბოლო წლებში ხომ ნათლად გამოჩნდა, რომ საბაზრო ეკონომიკის ძახილში ბაზარიც დაანგრიეს და ეკონომიკაც გააჩანაგეს. აი, ეს გახლავთ

(გაგრძელება მე-4 გვ.)

## რადიოსადგური „თავისუფლება“ იუწყება

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების დეკლარაცია თანამეგობრობაში თანასწორუფლებიანი პარტნიორობის და თანამშრომლობის სამომავლო განვითარების შესახებ, რომელიც



დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერთა სამიტს უნდა დაემტკიცებინა, განხილვის შემდეგ პრაქტიკულად ჩავარდა. როგორც „კავკაზპრესისათვის“ სარწმუნო წყაროდან გახდა ცნობილი, საქართველო საკმაოდ დაინტერესებული იყო დეკლარაციის მიღებით, ვინაიდან მისი ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა ცნობდა გაეროსა და ეუთოს როლის გააქტიურებას აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში. დეკლარაცია არ მიიღეს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო.

❑ ❑ ❑

რუსეთის თავდაცვის მინისტრი იგორ სერგეევი ახლო მომავალში ეწვევა საქართველოს, რათა გაეცნოს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებას, განსაზღვროს დაბრუნებულ ლტოლვილთა უსაფრთხოების, სამშვიდობო ძალების ფუნქციებისა და მათი მოქმედების ზონის გაფართოების მექანიზმები — ეს „ბლექსიპრესის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. შეეხო რა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხს, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ეს ბაზები ორ ქვეყანას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე არსებობს და მათი შემდგომი ბედი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ შესრულდება მორიგებები. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა თქვა, დოკუმენტი ჯერ კიდევ არ არის რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ. პრეზიდენტმა დასძინა, რომ რატიფიკაციისათვის აუცილებელი პირობებია რუსეთის მიერ საქართველოს დახმარება ეროვნული არმიის მომზადებაში და მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში.

❑ ❑ ❑

დავით თევზაძე — საქართველოს ახალი თავდაცვის მინისტრი ედუარდ შევარდნაძემ კოლეგებს პირადად წარუდგინა. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, თევზაძეს დიდი ხანია ამზადებდნენ ამ პოსტისათვის. რაც შეეხება ახალი მინისტრის პიროვნულ ღირსებებს, როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, კარგ მეცნიერთან ერთად იგი შესანიშნავი მებრძოლია. ეს კაცი ყოველთვის მესახებოდა მომავალ თავდაცვის მინისტრად — აღნიშნა მან. ამავე დროს, პრეზიდენტმა ყოფილ მინისტრსაც არ დაუკარგა ღვაწლი. მან თქვა, რომ ნადიბაიძემ მოახერხა ერთიან სისტემაში გაეერთიანებინა დაქსაქსული სამხედრო დაჯგუფებები. თუმცა, ისიც დასძინა, რომ ნადიბაიძის მხრიდან დაშვებული იყო ის დაუდევრობა, რომელიც 27 აპრილს თვითმფრინავის ინციდენტთან არის დაკავშირებული. ახალმა თავდაცვის მინისტრმა კი კოლეგებს მხოლოდ ერთი ფრაზით მიმართა, ნადიბაიძისგან განსხვავებით ქართულ ენაზე: „მე პროფესიონალი სამხედრო ვარ და ჩემი მთავარი მიზანი ქვეყნის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაა“.

❑ ❑ ❑

კასპიის ნავთობი არ უნდა იყოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს შორის რაიმე სერიოზული დაპირისპირების საბაბი, — განაცხადა „ბლექსიპრესის“ კორესპონდენტთან საუბრისას საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. მან რწმენა გამოთქვა, რომ დიდი ნავთობ... საბოლოო ანგარიშით საქართვე... ლოს ტერიტორიაზე გაივლი... შევარდნაძემ დასძინა, რო... საუკუნის პროექტისაგან განზ... არც რუსეთი დარჩება. პრეზი... დენტის თქმით, კასპიის ნავთო... ბის ტრანსპორტირების მარშრუ... ტის თაობაზე საბოლოო გადა... წყვეტილებას იღებენ ნავთობ... მსხვილი კომპანიები და ... სახელმწიფოები, რომლებსაც ... კომპანიები წარმოადგენენ — აშშ, დიდი ბრიტანეთი, ნორვე... გია და სხვა ქვეყნები ნავთო... ბის ე. წ. დასავლეთის მარშრუ... ტის სასარგებლოდ არიან გან... წყობილნი — დასძინა ედუ... არდ შევარდნაძემ.

❑ ❑ ❑

კიევი ადასტურებს, რომ... მზად არის მონაწილეობა მი... იღოს აფხაზეთის პრობლემი... მოწესრიგებაში — განაცხად... „ბლექსიპრესის“ კორესპონდენტ... თან საუბრისას საქართველო... პრეზიდენტმა ედუარდ შევარდ... ნაძემ, რომელმაც განმარტ... უკრაინის პრეზიდენტთან ლე... ონიდ კუჩმასთან 29 აპრილ... მოსკოვში გამართული შეხვედრ... შედეგები. როგორც ედუარდ... შევარდნაძემ თქვა, კიევში უკ... ამუშავებენ აფხაზეთის სამშვი... დობო ოპერაციებში უკრაინ... მონაწილეობის მექანიზმს და... როგორც უკრაინის პრეზიდენტმა... განაცხადა, ურიგო არ იქნებო... და, თუ ამ სამუშაოებში ქართვე... ლი სპეციალისტებიც ჩაებმებოდ... ნენ.

❑ ❑ ❑

მაისის შუა რიცხვებისათვის თბილისში დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შეხვე... დრა ჩრდილოეთ ოსეთის ალა... ნიის რესპუბლიკის პრეზიდენტ... თან ალექსანდრ ძასოხოვთან. „ბლექსიპრესის“ კორესპონდენტ... თან ინტერვიუში [illegible] პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ ოსეთის ამჟამინდ... ელი ხელისუფლება აქტიურად ... ადგას ქართულ-ოსური კონ... ფლიქტის მოწესრიგების კურს... და სწორედ ეს საკითხი იქნე... ბა თბილისის შეხვედრის ყურა... დღების ცენტრში — აღნიშნა შევარდნაძემ. როგორც მან თქვა, ძასოხოვთან შეხვედრის წინ გამ... ართება მოლაპარაკება სამხრეთ ოსეთის მხარის ლიდერთან ლუდვიგ ჩიბიროვთან.

# გასული კვირის რამე-რუმე

გასრულდა კიდევ ერთი კვირა. შეფასება იმ მოვლენებისა, რომელნიც გასულ კვირას



მოხდა, რთული საქმე იყო, მაგრამ მაინც შევეცდებით. ამ ცოტა ხნის წინ ელენე თევდორაძის განცხადება, პრეზიდენტზე მორიგი თავდასხმა ჰაერში განხორციელდებაო, არავის სერიოზულად არ აღუქვამს მანამდე, სანამ პრეზიდენტის თანმხლები თვითმფრინავების ძრავაში „ქვა-ლორლი“ არ „აღმოაჩინეს“. ეს „აღმოჩენა“ ვილაცის უკბილო ხუმრობად ჩაითვლებოდა, ამას რომ თავდაცვის მინისტრის პენსიაზე გასვლა არ მოჰყოლოდა. ასრულდა ოპოზიციის ორი წლის ოცნება და ახალი მინისტრის დანიშვნას ერთსულოვნად უჭერდა მხარს, როგორც ოპოზიცია, ისე პოზიცია.

პარლამენტმა ტაშის გრიალში დაამტკიცა თავდაცვის მინისტრის ახალი კანდიდატურა და მას აფხაზეთის დაბრუნება, ქართული ჯარის ძლევამოსილება დაუსახა მიზნად. მიზანი მინისტრისათვის ნათელია, მაგრამ მისი მისაღწევი გზები ბურუსითაა მოცული როგორც მინისტრისათვის, ასევე საქართველოსათვის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნადიბაიძის თერთმეტი კაცისაგან შემდგარი დაცვა თევზაძემ ხუთამდე დაიყვანა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასევე „შეთხელდება“ იმ „აღფრთოვანებული“ გენერალიტეტის რიგები, რომელნიც სახეგაბადრულნი ულოცავდნენ თევზაძეს თავდაცვის მინისტრის პოსტის დაკავებას. საკადრო ცვლილებებს ელიან თავდაცვის სამინისტროში. პარლამენტი კი აფხაზეთის დაბრუნებასა და ძლიერი არმიის შექმნას ელის. შეძლებს თუ არა ახალი მინისტრი იმას, რაც მისმა წინამორბედმა ვერ ან (არ) შეძლო, ამას მომავალი გვიჩვენებს. ხოლო ნაბიჯი, რომელიც პრეზიდენტმა გადადგა მინისტრის გათავისუფლებით იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი ქვეყნის ფლაგმანმა შესანიშნავად იცის მომენტის გამოყენება. მომენტისა, რომელმაც ვილაც „ხუმარის“ საშუალებით შეაძლებინა პრეზიდენტს გაენეიტრალებინა კარს მომდგარი სამიტის მოსალოდნელი შედეგებით გამოწვეული უსიამოვნებანი. ორი წლის უკან, როცა ვარდიკოს ნათლული თანამდებობას ემშვიდობებოდა, ყველა ფიქრობდა, რომ ქართული თავდაცვის „სიამაყეც“ გაიზიარებდა ნათლიის ბედს, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდა იმ „ყველას“ და შევარდნაძემ ცოტა მოგვიანებით გასწირა ჭადრაკის დაფიდან წასასვლელად ფიგურა, რომლის დაფაზე ყოფნა უფრო მეტ სირთულეებს იწვევდა, ვიდრე სიკეთეს.

ერთადერთი რამ, რაც ამ სიტუაციაში უხერხულობას იწვევს, ექსმინისტრის „პენსიაზე წასვლის“ მიზეზი გახლავთ. რომ არა ზემოთხსენებული „ხუმარა“, რომლის გამოც თვითმფრინავების ძრავაში ქვიშა აღმოჩნდა, ვარდიკო დღესაც პოსტზე იქნებოდა. როგორც თავად დარწმუნდით, ეს მიზეზი გამოყენებული იქნა იმისთვის, რომ საბაბი ვარდიკოს მოსახსნელად ბევრი დაუგროვდა პრეზიდენტს. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ერთ-ერთ საბაბად პარლამენტის თავმჯდომარის შეერთებულ შტატებში ამასწინანდელი ვიზიტის შედეგებიც იყო. ასე იყო თუ ისე, დასავლეთს პროდასავლური კანდიდატურა სურდა ეხილა საქართველოს თავდაცვის მინისტრის პოსტზე და იხილა კიდეც გენერალ-მაიორი, ფილოსოფოსი, ექვსი შვილის მამა — დავით თევზაძე. თუმცა, ეს ცვლილება გენერალიტეტისაგან განსხვავებით ნაკლებად აღელვებთ ჯარისკაცებს. როცა ერთ-ერთ მათგანს ვკითხე აზრი, მან ასე მიპასუხა: „ჯარისკაცისთვის სულერთიაო.“ მართლაც, დღეს ქართველი ჯარისკაცისთვის უინტერესოა, ვინ იქნება თავდაცვის მინისტრი, პრორუსული ორიენტაციის ვარდიკო თუ დასავლური ორიენტაციის თევზაძე. მათ ჩაცმა, ჭამა, სისუფთავე და უსაფრთხოება სურთ. დღეს კი, მშიერი და შიშველი ქართველი ჯარისკაცის დანახვისას ნაკლებად თუ იგრძნობს თავს ვინმე უსაფრთხოდ.

გასულ კვირას, გარდა იმისა, რომ თადაცვის ახალი მინისტრი შეუდგა თავისი ფუნქციების შესრულებას, პარლამენტს კიდევ ერთი მინისტრი უნდა დაემტკიცებინა. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრად „გაზ-



აზირებულ“ გიორგაძეს ნაკლები აჟიოტაჟით მოუწია მინისტრის სავარძლის დაკავება. ნათელი არაა, ამ ცვლილებას მოჰყვება თუ არა ცვლილება სათბობ-ენერგეტიკის სფეროში, მაგრამ ნათლად გამოიკვეთა ის, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მისული საქართველოს მოქალაქენი ბიულეტენში ორ გვარს ამოიკითხავენ: ედუარდ

(გაგრძელება მე-3 გვ.)

# იქნება ვითომ რეპრესიები?..

ამ რამოდენიმე ხნის წინ რედაქციაში ერთი ხანდაზმული, მისივე თქმით, ოთხმოცდაათს მიახლოებული ბატონი გვეწვია. სპეციალობით ინჟინერი ყოფილა, თავის დროზე საკმაოდ მაღალი პოსტებიც ეკავა თურმე. სტუმრობის მიზანი მასთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა. რომელიღაც ქართველ ავტორს წიგნი გამოუცია სტალინზე, სადაც „დიდი ბელადი“ ნათელ ფერებში ყოფილა „დახატული“. ჩვენს სტუმარსაც, მტკიცე სტალინისტს, ალტაცება ვერ დაუმალავს და პატარა




წერილიც მოგვართვა ამ „დიდებული“ წიგნის შესახებ, რომლის ბოლოშიც, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ ურჩევს განათლების სამინისტროს, ეს წიგნი აუცილებლად უნდა ჩასვათ საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამაშიო.

გასაგები მოსაზრებების გამო, თავაზიანი უარი ვუთხარი სტუმარს, ვერ გავუშვებთ ამ წერილს-მეთქი. ჩემს უარს ნახევარსაათიანი ლექცია მოყვა სტალინის პიროვნების შესახებ და ბოლოს, ისეთი ფრაზები „მაჯახა“, ლამის შოკში ჩავვარდი. კერძოდ, ასეთი რამ მითხრა: გაუშვი, შვილო, ეს წერილი, გამოგადგებაო. [illegible], რაში უნდა გამომადგეს-მეთქი. რაში, შვილო და რეპრესიები იქნება აუცილებლად და მაშინ გაგიხსენებენ, ამ გაზეთის ამა და ამ რედაქტორმა სტალინის შესახებ ასეთი კარგი წერილი დაბეჭდაო და ამით გადარჩები დასჯასო.

ოთხმოცდაათს მიახლოებული კაცის ნათქვამით არ უნდა შეშინდე კაცი და არც მე შემშინებია. უბრალოდ, გული დამწყდა იმაზე, რომ დღეს, მეოცე საუკუნის მიწურულს, ჩვენში ჯერაც არ მოიშალა გარკვეული კატეგორიის ადამიანებში კერპთაყვანისმცემლობის, ბელადომანიის სინდრომი და ბევრ მათგანს ერთი სული აქვს, როდის დადგება ის ხანა, როცა შეძლებს მოყვასის, საკუთარი მეზობლის, მეგობრის, თანამემამულის დასმენას, დაჭერას, დახვრეტას, დედაბუდიანად ამოჟლეტას.

იმ ჩვენი სტუმრის ნათქვამიც არაა შემთხვევითი. კომუნისტ-სტალინელები, მათი ლიდერების, გიორგაძე-ონიანის და სხვათა მეთაურობით, ღამეებს ათევენ ალბათ იმაზე ფიქრით და ოცნებით, როდის დაუდგებათ ის დრო, როცა ბოლშევიკური რეპრესიების მანქანას აამოქმედებენ და გოლგოთის გზას გაუყენებენ ნახევარ საქართველოს. დასანანია, რომ ამ ადამიანების შეგნებაში, ძალიანაც რომ მოინდომო, გარდატეხას ვერ მოახდენ. რამდენი არ ვუმტკიცე იმ ჩემს სტუმარ მოხუცს, რამდენი არგუმენტ-ფაქტები არ მოვუყვანე, ის მაინც თავის ჭკუაზე იდგა: „სტალინი ღმერთია, სტალინი ბელადია, სტალინი სასწაულია!!!“ აი, მისი სიტყვები. არ დამიჯერა ისიც, რომ რეპრესიებში სტალინი იყო დამნაშავე, როგორც სახელმწიფოს პირველი პირი და როგორც რეპრესიული პოლიტიკის გამტარებელი. არაო, მითხრა, გზადაგზა, ქვემოთა ინსტანციებში ამახინჯებდნენ ყველაფერსო. ამაზეა ნათქვამი, შეაყარე კედელს ცერცვიო...

იყოს ის მოხუცი თავის ჭკუაზე, იმდენს ვერაფერს დაგვაკლებს ალბათ, მაგრამ ჩვენი უბედურების სათავე იმაში უფროა, რომ ვერც დღევანდელ, ნაკომუნისტარ ხელისუფალთ შეასმენ რამეს, ვერც ამათ გააგებინებ, რომ ეს ქვეყანა მარტო შევარდნაძეების, ლეკიშვილების და სხვათა და სხვათა გვარისა კი არ არის, არამედ ეს მიწა, ეს ცა, ეს წყალიც ყველა ქართველისაა, სრულიად საქართველოსია. სტალინისა არ იყოს, შევარდნაძეც იმ პოლიტიკას ატარებს, რომელიც ქმნის იმის პრეცენდენტს, ადამიანი დაიჩაგროს, მისი პიროვნული, მოქალაქეობრივი უფლებები შეილახოს და ღმერთმა გვაშოროს, თუ მასობრივი დაჭერები, გაციმბირებები არ ხდება, ეს ალბათ, უფრო დასავლური დემოკრატიის რიდით, თუმცა, ციხეები მაინც სავსე გვაქვს და ადამიანს ხშირად ისეთი დანაშაულისათვის იჭერენ, რომ გაგიკვირდება, ეს მართლაც და მართლაც, რა ქვეყანაში ვართო.

რადგან პოლიტიკაზე მიდგა საუბარი, უპრიანი იქნება საუკუ-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

# იქნებ, ეკონომიკურმა კავშირებმა დაამყაროს აფხაზეთთან მშვიდობა?

პრობლემები, რომლებიც ხელისუფლებამ ძალოვანი მეთოდებით ვერ მოაგვარა, ეკონომიკური გზით მოინდომა. აფხაზური მხარე აღნიშნული საკითხით, როგორც ჩანს, აქტიურად დაინტერესდა. მათი დელეგაციის ვიზიტიც აჭარაში უდავოდ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ამ მხრივ. როგორც ჩანს, თვით აფხაზებსაც მოენატრათ მშვიდობა და ამ თემაზე საუბარს საკმაოდ დიდი ადგილიც დაეთმო მხარეთა შეხვედრაზე.

— ნებისმიერი საქმე შეხვედრით, მაგიდასთან მოლაპარაკებით იწყება. ყველა ომიც საბოლოოდ მაგიდასთან მოლაპარაკებით სრულდება ხოლმე. გვეყო ერთმანეთისთვის კუნთების ჩვენება, ყველა საკითხის გადაჭრის გზა მაინც მოლაპარაკებებამდე მიგვიყვანს ბოლოს, — განაცხადა ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე აფხაზეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა სერგეი ბაღაფშმა, — ჩხუბის დაწყება ადვილია, ხოლო დამთავრება ძნელი. როცა დიდია სურვილი, ადვილია გზების ძებნა, ჩვენ კი გვაქვს სურვილი ურთიერთობებისა, შეხვედრებისა. ადამიანს ვაკუუმში ცხოვრება არ შეუძლია. მხოლოდ ორმხრივი ადამიანური ურთიერთობები მიგვიყვანს სასურველ დასასრულამდე.

ზემოაღნიშნულ ვიზიტს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკური დატვირთვა არ ჰქონია. იგი სუფთა ეკონომიკურ საკითხებს ეძღვნებოდა. როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მოხდა აზრთა ურთიერთგაზიარება, რადგან სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო ზოგიერთ ეკონომიკურ პროექტზე შეთანხმება. კონკრეტულად საუბარი კოდორის შესართავიდან ინერტული მასალების აჭარაში შემოტანას და აფხაზეთში დამზადებული ხე-ტყის შესყიდვას შეეხო.

თავისი ვიზიტის მიზანი სერგეი ბაღაფშმა ღიად ამცნო საზოგადოებას.

— აქ ეკონომიკური საკითხების განსახილველად ჩამოვედი. მე პოლიტიკოსი არ გახლავართ, პოლიტიკით ჩვენთან პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა სამინისტროა დაკავებული, მაგრამ, როგორც ხელმძღვანელ სტრუქტურებში მომუშავე ადამიანი გეტყვით, რომ ეკონომიკა საბოლოო ჯამში პოლიტიკას მაინც უპირისპირდება.

ასე თუ ისე, პრესკონფერენციაზე საუბარი პოლიტიკას მაინც შეეხო და კიდევ ერთხელ გახდა ცნობილი, რომ აფხაზებისათვის დსთ-ს ქვეყნების მიერ მათ გარეშე მიღებულ არანაირ გადაწყვეტილებას მნიშვნელობა არა აქვს.

პროტესტის მიზეზი საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა აფხაზეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, მან თქვა, რომ დსთ-ს ქვეყნების არცერთ გადაწყვეტილებას არ შეასრულებენ, რადგან სამშვიდობო ჯარების შემოყვანა ორივე მხარის — აფხაზეთისა და საქართველოს თანხმობით მოხდა, ხოლო როცა მათი გაყვანის ან მანდატის შესახებ ისმება საკითხი, იგი აფხაზეთის მხარის გარეშე წყდება.

პრესკონფერენციაზე ისიც აღინიშნა, რომ შესაძლებელია აფხაზეთსა და საქართველოს შორის მომავალი მოლაპარაკება აჭარაში მოხდეს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ასლან აბაშიძის განცხადებით, კონფლიქტის მოგვარების საქმეში აჭარა დიდ როლს ითამაშებს. აჭარა ავტონომიური ფორმირება გახლავთ და იგი სრულუფლებიანი წევრიც იქნება მოლაპარაკებების დროს.

მე არ მინდა შუამავალი ვუწოდო აჭარას, მაგრამ ასე თუ ისე, ამ ფუნქციას მაინც შევასრულებთ. ჩვენ ვიქნებით თბილი მასპინძლები. თავად სტატუსი და ჩვენი ინტერესი ბიძგს მისცემს ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას, — განაცხადა ბატონმა ასლან აბაშიძემ.

ღმერთმა ქნას, პრობლემები, რომელთა მოგვარებაც ძალოვანი მეთოდებით არ მოხერხდა, ეკონომიკური გზით მაინც გადაჭრილიყოს.

**მანანა ლოგჯანიძე**
**ნანა ძველაია**
**სპეციალურად „საქართველოსათვის“ ბათუმიდან**

### თუ ექნება ეკონომიკური ინტერესი, რუსეთი დათმობს აფხაზეთს - ასეთია ნესტან კირთაძის პოზიცია

როგორც ფრაქცია „ლეიბორისტის“ წევრმა სახალხო-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ, ნესტან კირთაძემ განუცხადა გეა-ს კორესპონდენტს, მას რეალურად მიაჩნია აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგება მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების საშუალებით.

ნესტან კირთაძის თქმით, აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა სწორედ ზემოთ აღნიშნული გზებით უნდა განხორციელდეს, რადგან აფხაზეთის საკითხი კომპლექსურად გადასაწყვეტია, რაც არა მარტო პოლიტიკურ მოლაპარაკებებს, არამედ ეკონომიკური ინტერესების გაცვლასაც ითვალისწინებს. კირთაძეს მიაჩნია, რომ ეკონომიკური ინტერესები თან მოიტანს პოლიტიკურსაც და სამხედრო ინტერესებსაც.

ნესტან კირთაძის თქმით, მისაღებია ბოსნიური მოდელის მხოლოდ ერთი მცირე მხარე - სამშვიდობო კონტინგენტის ინტერნაციონალიზაცია.

თუ ექნება ეკონომიკური ინტერესი, რუსეთი დათმობს აფხაზეთს და კონფლიქტი დარეგულირდება. - ასეთია ნესტან კირთაძის პოზიცია.

მისივე თქმით, არავის უნდა ჰქონოდა იმის იმედი, რომ დსთ-ის მოსკოვის სამიტი რაღაც განსაკუთრებულით დასრულდებოდა, რადგან ეს იყო რიგითობის მიხედვით ჩვეულებრივი ურთიერთმოლაპარაკება სახელმწიფო მეთაურთა დონეზე, რომელსაც, ბუნებრივია, უნდა დასწრებოდა საქართველოს პრეზიდენტიც, რადგან სამიტში მონაწილეობით დსთ-ის წევრ სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრიბუნის გამოყენების რეალური შანსი ეძლევათ.

### მოსამართლემ ყვითელი ბარათი ამოიღო

სასამართლოს ბოლო სხდომაზე, რომელზეც 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის საქმე განიხილება,



მოსამართლემ, ჯემალ ლეონიძემ უკანასკნელად გააფრთხილა. „მხედრიონის“ ყოფილი ლიდერი, ჯაბა იოსელიანი, „მაშველთა კორპუსის“ ყოფილი ლიდერი, გიგა გელაშვილი და უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე, თემურ ხაჩიშვილი, ვინაიდან ისინი მოსამართლეს და პროკურორებს ემუქრებოდნენ.

ამ ფაქტის კომენტირებისას პარლამენტის პენიტენციალური რეფორმისა და პატიმართა უფლებების დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ, ელენე თევდორაძემ გეა-ს კორესპონდენტს განუცხადა: „მე მივმართავ [illegible] მხარეს, თავშეკავებულად [illegible] კორექტულად მოიქცნენ, რადგან ჩვენ საქმე გვაქვს ძალიან რთულ საქმესთან, რომლითაც არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც არიან დაინტერესებულნი და აუცილებელია ყველა პირობის შექმნა, რათა სასამართლო განსასჯელთა მონაწილეობით ჩატარდეს“.

თევდორაძის ინფორმაციით, ამ დღეებში რიგიდან დაბრუნდა საქართველოს კულტურის ყოფილი მინისტრი, დავით მაღრაძე, სადაც პენ-კლუბის სხდომა ჩატარდა. ამ შეკრებაზე მიიღეს მიმართვა საქართველოს ხელისუფლებისადმი, რომელშიც გამოთქმული იყო იმედი, რომ ჯაბა იოსელიანის სასამართლო „სამართლებრივი ნორმების დაცვით“ ჩატარდება.

**გეა**

# გასული კვირის რამე-რუმე

(მე-2 გვერდიდან)

შევარდნაძე და ასლან აბაშიძე.




ჩვენი წინასწარმეტყველება რეალობასთან ახლოს რომაა, ამას წინა კვირაში განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს.

29 აპრილს კვლავ შეეცადნენ მომაკვდავი დსთ-ს უკვე გვამად ქცეული სხეულის რეანიმაციას. 11 სახელმწიფოს მეთაურები ამაოდ დაშვრნენ. შედეგი ასეთი იყო: დოკუმენტები არ მიუღიათ, ზოგადი დეკლარაცია არ იქნა მიღებული. შევარდნაძეს მიაჩნია, რომ ეს შეკრება წინგადადგმული თუ არა, უკან გადადგმული ნაბიჯი არ არის. რაღაც უნდა შეიცვალოს, ამას ყველა ხვდება და ცვლილება ადმინისტრაციიდან დაიწყეს. ელცინმა 2000 წლამდე თანამეგობრობის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარეობა შეინარჩუნა, მულტიმილიონერი ბერეზოვსკი დსთ-ს აღმასრულებელ მდივნად დაინიშნა, გენერალ-მაიორი კორობკო 1999 წლის ივლისამდე აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ჯარების სარდლად დარჩა. რაც ნიშნავს იმას,




რომ რუსების „სამშვიდობო მისია“ აფხაზეთში გაგრძელდა და საქართველოს პარლამენტის დადგენილება ფარატინა ქაღალდად დარჩა. შედეგები ნათლად აჩვენებს იმას, რომ აფხაზეთის პრობლემების მოგვარებას საქართველოს პრეზიდენტი უახლოეს პერიოდში ვერ შეძლებს და ამით საარჩევნო ყუთებთან ამომრჩევლების უმრავლესობა ან არ მივა, ან საწინააღმდეგო ხმას მისცემს მას. მანამდე, სანამ შევარდნაძე თავდაცვის მინისტრის მოსახსნელად საბაბს ეძებდა და დსთ-ს რეანიმაციაში იღებდა მონაწილეობას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი ასლან აბაშიძე გუდაუთის დელეგაციას იღებდა ბათუმში. სერგეი ბაღაფში და ასლან აბაშიძე ეკონომიკურ თანამშრომლობაზე საუბრობენ. თუ გავიხსენებთ იმას, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა ეკონომიკით იწყება და ეკონომიკითვე მთავრდება, მაშინ ხელისუფლებამ უნდა აღიაროს ის, რომ ასლან აბაშიძე ამ შემთხვევაში სწორ გზას ადგას. მიიყვანს თუ არა მას ეს გზა საქართველოს პრეზიდენტის აპარტამენტებში, ამას მომავალი გვიჩვენებს. დღეს კი აბაშიძე უარყოფს სურვილს, რომელიც ნათლად იკვეთება მის სახეზეც და საქმეშიც. თბილისსა და ბათუმს შორის გაუგებრობა ორმხრივი მობოდიშებით დასრულდა და ყველაფერი მასმედიას დაბრალდა, რომელსაც, როგორც ბათუმში ჩასულმა პრეზიდენტმა აღნიშნა, არ სძინავს და თუ რატომ არ სძინავს ჟურნალისტებს, ეს მას ჩვენზე უკეთ მოეხსენება. იმ „უძილო“, „ყურებდაცქვეტილ“ ჟურნალისტებს არც ის გამორჩენიათ მხედველობიდან, რომ წინასასესიო ციებ-ცხელება ფრაქცია „აღორძინების“ გარეშე ჩატარდა და როდესაც ვიკითხეთ მიზეზი, ბატონმა გურამ შარაძემ კომენტარისაგან თავი შეიკავა, თუმცა ის, თუ რამ გამოიწვია მასა და ბატონ ელდარ შენგელაიას შორის „გაუგებრობა“ ნათლად ახსნა. ბერიასა და შენგელაიას წინაპრების ურთიერთობის შეხსენებამ ამ უკანასკნელზე იმდენად იმოქმედა, რომ წონასწორობა დააკარგვინა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გურამ შარაძემ ნაციონალისტების შეხედულება გაიზიარა და საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელ დოკუმენტში ეროვნების აღნიშვნა ისურვა. ევროპულ ინტეგრაციას დამდგარი შენგელაია კი ალაშფოთა შარაძის „კუთხურობის“ გამოვლინებამ, და გამომწვევად იკითხა: თუ არ გავითვალისწინებთ ამ შენიშვნას, სტალინისა და ბერიას მსგავსად დაგვხვრეტთო? ამ შედარებამ ალაშფოთა ბატონი შარაძე და შენ-




გელაიას „შეახსენა“ ის, რაც ზემოთ უკვე ვთქვით. მოკლედ ასე იყო თუ ისე, გასული კვირა ისტორიას ჩავაბარეთ, ახალი კვირა კი რას მოგვიტანს, ამას კვირის ბოლოს ვნახავთ.

**ანა ჯულელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲞᲐᲜᲢᲔᲚᲔᲘᲛᲝᲜ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ:

# „გუშინ იგორს ტელეფონით ვესაუბრე"... „...ფრთხილად იყოს პრეზიდენტი!.."

(მე–2 გვერდიდან)

ჩვენი სამი ძირითადი მიმართულება.

— **ქართულ პრესაში გაიჟღერა მოსაზრებამ იმის შესახებ, რომ აბსანძის გადმოცემის შემდეგ უკვე რუსეთის მთავრობა დღის წესრიგში დააყენებს გიორგაძის გადმოცემის საკითხს. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— არა მგონია ამ დონეზე მივიდეს რომელიმე სახელმწიფოს სათათბირო, ან საერთოდ ხელმძღვანელობა, რომ დღის წესრიგში დააყენოს ეს საკითხი. ხელისუფლება და პრეზიდენტები, თუ ისინი ნამდვილად ხალხის ბედით არიან დაინტერესებულნი, უფრო სერიოზული საკითხებით უნდა იყვნენ დაკავებულნი. თუმცა ეს საკითხი დიდი ხანია არის დაყენებული. ამას წყვეტენ საქართველოს, რუსეთის და სხვა ქვეყნების სათანადო ორგანოები. ასე რომ, ეს არ გახდება პრეზიდენტებისა და მთავრობების მსჯელობის საგანი.



Photo News

— **რაც უფრო ხშირად ისმება საკითხი გიორგაძის გადმოცემაზე, პარალელურად საზოგადოებაში დომინირებს აზრი, რომ შევარდნაძე რუსეთის ხელისუფლების მიერაა დასმული. არსებობს დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ როდესაც დღევანდელმა ხელისუფლებამ სამოქალაქო ომის დროს დაიკავა ქალაქი ზუგდიდი, შევარდნაძე და გიორგაძე ერთად ჩავიდნენ სამეგრელოში რუსეთის ჯარის წარმომადგენლებთან ერთად. რაც, თავის მხრივ, საზოგადოებაში გარკვეულ ეჭვს ბადებს.**

— არა, შევარდნაძე და მაშინდელი ხელისუფლება რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების დახმარებით რომ ჩამოვიდა, ეს სულაც არ არის დასამალი, მაგრამ პრეზიდენტი რუსეთის ხელისუფლების მარიონეტი რომ არის, ამაში დამერწმუნეთ. შევარდნაძე დღეს ყველას მარიონეტია და ყველას ინტერესებს გამოხატავს, გარდა ქართველი ხალხისა. იგი მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე ასეც ცხოვრობდა. ყველა, ყოველთვის დამნაშავე იყო, თვითონ კი მართალი. დღეს საქართველო ილუპება. იგი ხლაც მართალია. მთელი ქართველობაა დამნაშავე, თვითონ არ ცდება. და გაიძახის, წინ მივდივართო. ჩემი აზრით, შევარდნაძეა ყველაზე დიდი დამნაშავე.

რა გააკეთეს ზუგდიდში მხედრიონმა და გვარდიამ, ამას მე ვერ გეტყვით. შევარდნაძე მთავარსარდალი იყო. მის გარშემო მყოფი ხალხი კი ყველა ციხეში ზის. ასე იყო კომუნისტების დროსაც, როცა შევარდნაძე გაიძახოდა, კომუნისტი ვარო. სინამდვილეში, იგი არასდროს არ ყოფილა კომუნისტი.

მე მეგონა, პრეზიდენტი მიხვდებოდა და მართალს იტყოდა იმის შესახებ, რომ გამსახურდია უკანონოდ იყო ჩამოგდებული. თუ მხედრიონი და გვარდიის ხელმძღვანელობა დღეს ციხეშია, მე ვინა ვარო, დაუსვამდა შეკითხვას საკუთარ თავს. იტყოდა, ყველას გაპატიებთ, გამოდითო. ვინც დამნაშავე იყო, მხოლოდ იმას დატოვებდა ციხეში. საინტერესოა, რას ერჩიან კიტოვანს, ჯაბა იოსელიანს, ან კიდევ რა უნდოდათ ვაჟა ხაჭაპურიძისაგან.

მე ზვიადისტებისაც და ყველა პოლიტიკური ძალის მომხრე ვარ, რომელიც ამ რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვის.

— **ბატონო პანტელეიმონ, როდესაც შევარდნაძე ჩამოიყვანეს და საქართველო გახდა დსთ-ს წევრი, ამის შემდეგ დაინიშნა იგორი უშიშროების მინისტრად, რაც გარკვეული ეჭვის საფუძველს იძლევა.**

— მე უნდა გითხრათ, რომ იგორი თვითონ არ გამხდარა მინისტრი. იგი მინისტრად შევარდნაძემ გახადა. როგორც იგორი ამბობს, მას შევარდნაძე არასდროს დასჭირვებია, პირიქით, შევარდნაძეს დასჭირდა იგი. რაც ამის შემდეგ მოხდა, რას უნდა მივაწეროთ, ამას მე ვერ გეტყვით, რადგან არც პრეზიდენტისა და არც იგორ გიორგაძის საქმეში ვერეოდი. არც ის მაინტერესებდა, რა ურთიერთობა ჰქონდათ მათ. მე ვხედავდი, რომ ჩემი შვილი საქართველოს ეხმარებოდა და ემსახურებოდა. სჭირდებოდა შევარდნაძეს და დანიშნა, ეხლა კი მისი თავი სჭირდება, მაგრამ არა ცოცხალის, არამედ მკვდარის. და ცდილობს მის მოკვლას. ცოცხალი იგორ გიორგაძის დაბრუნება ხომ შევარდნაძის დასაფლავებას ნიშნავს.

— **მხედრიონელთა სასამართლო პროცესზე ერთ-ერთმა განსასჯელმა თქვა, რომ იგორ გიორგაძე დაბრუნდება. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს?**

— ჯერ ერთი, ეს „საუკუნის სასამართლო" საქართველოს ისტორიაში დარჩება, როგორც ერთ-ერთი სამარცხვინო ლაქა და ეს არის საქართველოს ხელისუფლების უდიდესი სირცხვილი. ბოლოს და ბოლოს, ქართველი ხალხი დარწმუნდება, საით მიექანება საქართველო. თანაც ღრმად მჯერა, რომ ეს განსასჯელები მიუხედავად იმისა, დამნაშავენი არიან თუ არა, ეროვნულ გმირებად გამოცხადდებიან და საქმე აქამდე სწორედ ჩვენმა პრეზიდენტმა მიიყვანა. არა მგონია, ხელისუფლებას ამშვენებდეს ის ფაქტი, რომ სამოცდაათი წლის ჯაბა იოსელიანი ციხეში ზის. რა გააკეთა ასეთი?

არა მგონია, შევარდნაძის მიერ დანიშნული შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც შემდეგ უშიშროების მინისტრის მოადგილეც



გახდა, პატრიოტი კაცი, რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო შევარდნაძის აქ ჩამოყვანაში, სამართლიანად ისჯებოდეს. მეორეც, ამბობენ, რომ იგორი ჩამოვა საქართველოში. მე, როგორც მის მამას, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩამოვა და თანაც თეთრი ცხენით.

— **ბატონო პანტელეიმონ, მოგეხსენებათ, როდესაც საბჭოთა კავშირი არსებობდა, საზღვრები მტკიცედ იყო შეკრული, მაშინაც მოქმედებდა უცხოეთის აგენტურა. დღესდღეობით თქვენი აზრით რა დონეზე მიმდინარეობს მათი მუშაობა?**

— ყველა, ვინც დაზვერვას აწარმოებს, ჰყავს აგენტურა საქართველოში. მერწმუნეთ, მე, როგორც ჩეკისტს, ეს ხდება სამთავრობო დონეზე და თანაც მათ ყველაზე „იაფი" მუშაობა უწევთ. მონაცემები ჩვენზე უკეთესად სხვა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს აქვთ. დღეს საქართველოში არც დაზვერვა, არც კონტრდაზვერვა არ მუშაობს და რომც ჩამოყალიბდნენ, ამას მაინც ვერ შეძლებენ, რადგან ჩვენი სამსახურები დაკომპლექტებულია შემთხვევით მოსული ხალხით. ვგულისხმობ, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისე თავდაცვის სამინისტროს, რაღა თქმა უნდა, უშიშროების ორგანოებს. თვით ამ ორგანოებმაც კი არ იციან, რა არის დღეს საქართველოს სახელმწიფო საიდუმლო. გამომდინარე აქედან, ვერც იცავენ მას. ასე რომ, საქართველო დღეს ყველა აგენტისათვის გახსნილია. თუმცა თვით პრეზიდენტსაც შეუძლია გასცეს სახელმწიფოს საიდუმლოება, ანდა რა დარჩა ბატონ პრეზიდენტს საიდუმლო — ყველაფერს „მღერის" და თანაც ყველგან.

— **გეკითხებით, როგორც პროფესიონალ ჩეკისტს, რამდენად მომგებიანი იქნება ქვეყნი-**

(გაგრძელება მე–8 გვ.)

# იქნება ვითომ რეპრესიები?..

(მე–3 გვერდიდან)

ნის დამნაშავედ სახელდებული ჯაბას საქმეც გვეხსენებინა. ვინ შექმნა ჯაბას ფენომენი, თუ არა შევარდნაძემ და მისმა პოლიტიკურმა კურსმა? მართალია, ჯაბა შევარდნაძემდეც არსებობდა საკუთარი „მხედრიონით", მაგრამ მისი გაპარპაშება და ქვეყნის მეორე კაცად ქცევა დღევანდელი ხელისუფალის ხელში არ მოხდა? „მავრმა თავისი საქმე გააკეთა და მავრს შეუძლია წავიდესო", ამ ცნობილი სიტყვებისა არ იყოს, ჯაბას თავისი საქმე გააკეთებინეს, — სამეგრელო აატირებინეს, ქვეყანა გააძარცვინეს, ქაოსი და ანარქია შეაქმნევინეს და მერე, იმ აფეთქების შემდგომ, ხელი ჩაავლეს და ყველა ცოდვა მას მიაწერეს. ჯაბას თავისი დანაშაულიც ეყოფა, მაგრამ ვინ მოკითხავს პასუხს პირველ პირს იმ ყველაფრისათვის, რაც ხდებოდა და რაც დღეს ხდება? ვინ აგებს პასუხს აფხაზეთისთვის, სამაჩაბლოსთვის, სამეგრელოსთვის, სრულიად საქართველოსთვის? არც არავინ. ხალხს კუჭის საზრუნავი გაუხდია პირველ საქმედ, ინტელიგენციის დიდი ნაწილი, ერთი ცნობილი პოეტისა არ იყოს, ხელმწიფის ნავში ზის, ოპოზიცია დაქსაქსულ-დანაწევრებულია და ბურთი და მოედანი კი იმათ ხელშია, ვინც მხოლოდ ერთი დადებითი ფაქტორით ტრაბახობს მთელი ამ შვიდწლიანი მმართველობის პერიოდიდან. ეს ფაქტორი გახლავთ ყბადაღებული სტაბილიზაცია. ბევრს რომ ჰკითხო, რა თავში ვიხლი მშიერ სტაბილიზაციასო, გიპასუხებთ. სტაბილიზაცია, რა თქმა უნდა, აუცილებელია და ღმერთმა დაგვიფაროს კვლავ იარაღის ჟღარუნისაგან, მაგრამ მარტო სტაბილიზაციით ტრაბახიც ვერაფერი საქმეა. ამ ტრაბახ-ტრაბახში არძინბამ საკუთარი სახელმწიფო ჩამოაყალიბა, არჩევნებიც ჩაატარა და სანამ ჩვენ სამიტ-შეხვედრებზე ფართო-ფართო მოხსენებებით პირს ვიქაჩვებთ, აფსუები ისე მოძლიერდნენ, ლამის აქეთ დაგვიწყონ პირობების კარნახი. ასეა სამაჩაბლოშიც. ჩიბიროვი მართავს იქ სიტუაციას და აშკარად იკვეთება ტენდენცია იმისა, რომ არცთუ შორეულ მომავალში ყოფილი სამხრეთ ოსეთი ჩრდილო ოსეთს შეუერთდეს და ერთი, მთლიანი ალანია შეიქმნას.

ქვეყნის პირველი პირის მიერ გატარებული პოლიტიკა, საგარეო



თუ საშინაო, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ გვაძლევს იმის გარანტიას (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასე ჩანს), რომ არათუ აფხაზეთ-სამაჩაბლოს პრობლემები მოგვარდეს, არამედ სხვა, კიდევ უფრო საშიში პროცესები არ განვითარდეს ქვეყნის სამხრეთსა თუ დასავლეთში. მართალია, ყველა ამ პრობლემის სათავე ქვეყნის ფარგლებს გარეთ უფროა საძიებელი, მაგრამ ჩემი აზრით, თუ ხელისუფლებას ექნება აშკარად გამოკვეთილი პროეროვნული პოზიცია და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს, მაშინ შესაძლოა სიტუაცია გარკვეულწილად შეიცვალოს და ასეთ ხელისუფლებას ანგარიში გაუწიოს არა მხოლოდ არძინბა-ჩიბიროვმა, არამედ მათმა ზურგის გამმაგრებელმა ძალამაც ჩრდილოეთიდან.

ბ-ნი პრეზიდენტი საორშაბათო რადიოინტერვიუში დამაიმედებლად საუბრობს ხოლმე ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაზე, რეფორმების სიკეთეზე და ა. შ. იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს, მაგრამ ხშირად მეჩვენება (და არა მხოლოდ მე), რომ უმაღლესი ხელისუფალი რეალურ სიტუაციას ვერ ფლობს და მხოლოდ მისი თანაშემწეებისა თუ მრჩევლების მიწოდებული ინფორმაციით ხელმძღვანელობს. თუ პრეზიდენტი ინებებს და ქართველთა ზოგიერთ ღირსეულ მეფესავით ხალხში ინკოგნიტოდ გაერევა (საამისო სიმამაცე და გამბედაობა ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს ნამდვილად აქვს), მაშინ მიხვდება მის თანამემამულეთა ნამდვილ გასაჭირს. მიხვდება იმას, რომ მასთან მისული ინფორმაცია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ძალიან ხშირად რადიკალურად განსხვავდება რეალური ვითარებისაგან და რომ არცერთი სამინისტრო, არცერთი სტრუქტურული რგოლი მმართველობისა არ ზრუნავს იმისათვის, რომ ქვეყანაში საშუალო ფენა გაჩნდეს და მეტიც, რომ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა ყველა საქმიანი წამოწყება, თუ არ შედის ეს მავანთა და მავანთა ვიწრო ინტერესებში, ძირშივე ჩაიხშოს.

არადა, როდემდე უნდა ვიყოთ სხვისი კრედიტების იმედით. როდემდე უნდა მოგვაწოდონ ფქვილი, შაქარი, სხვა, მინიმალური არსებობისათვის საჭირო პროდუქტები უცხოელებმა, როდემდე ვიყოთ სხვისი ხელის შემყურე? იმ კრედიტებით, საშვილიშვილო ვალად რომ გვაწევს კისერზე, ქვეყნის ბედზე მზრუნველი (არა საკუთარ ჯიბეზე) და ყაირათიანი მთავრობა ნაწილობრივ მრეწველობასაც აამუშავებდა და სოფლის მეურნეობასაც დააყენებდა ფეხზე. სამწუხაროდ, ჩვენთან ასე არ მოხდა და არც იმედია იმისა, რომ მომავალში მაინც გაკეთდეს ქვეყნისათვის სასიკეთო რამ. თუმცა, ნათქვამია, ალდგომა და ხვალეო...

**ᲡᲔᲠᲒᲝ ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐ**

# ღია წერილი

**საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ე. შევარდნაძეს**

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ი. მენაღარიშვილს**

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ქალბატონ ნ. ჩხობაძეს**

**საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის უფროსს ბატონ ვ. ჩხეიძეს**

**საქართველოს სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს მთავარ სახელმწიფო სანიტარულ ექიმს ბატონ ნ. შავდიას**

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ფოთის პორტში რუსი სამხედროების მიერ შემოტანილ იქნა ბირთვული საწვავი სომხეთის ატომური ელექტროსადგურისათვის. ჩვენ არ ვიცით, დანიშნულების ადგილას ტვირთი რკინიგზით გადაზიდეს თუ საავტომობილო ტრანსპორტით. აშკარაა, რომ სომხეთის ატომური ელექტროსადგურის საწვავით დროდადრო მოსამარაგებლად საქართველოს გზების გამოყენებაა გადაწყვეტილი. გამომდინარე იქედან, რომ სომხეთს არა აქვს არც სამარხი და არც გადამამუშავებელი ფაბრიკა გამომუშავებული საწვავისათვის, რომლის რადიოაქტიურობა გაცილებით მაღალია, ვიდრე ბირთვული საწვავისა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სომხეთის ატომური ელექტროსადგურის რადიოაქტიური ნარჩენების ტრანსპორტირებაც დაგეგმილია იმავე გზით, საქართველოზე გავლით.

გთხოვთ გვიპასუხოთ, რომელი იურიდიული დოკუმენტის საფუძველზე განხორციელდა სომხეთის ატომური ელექტროსადგურისთვის ბირთვული საწვავის ტრანზიტი საქართველოზე გავლით და მოხდა თუ არა მისი უსაფრთხოდ გადატანა.

პატივისცემით

საქართველოს გაერთიანებული
რესპუბლიკური პარტიის
ეროვნული კომიტეტი

# მკვიდრი მოსახლეობისაგან ჩრდილო ქართლის ეთნიკური წმენდის მიჩქმალვა ვეღარ ხერხდება...

1998 წლის 7 თებერვლის გაზეთ „იუჟნაია ოსეტია"-ში დაიბეჭდა „განცხადება", იმასთან დაკავშირებით, რომ 1998 წლის 29 იანვრის გაზეთ „რეზონანსში" გამოქვეყნდა სტატია „შევარდნაძის ნებით ცხინვალში დაბრუნებული ქართველები ოსებმა უკან გამოაბრუნეს."

აღნიშნული „განცხადება" კომუნისტების დროინდელი დემაგოგიის ქრესტომათიული მაგალითია. აჩემებული სქემის „დასასაბუთებლად" არგუმენტების ზერელედ გამოყენება ან მთლიანად უგულვებელყოფა; აქცენტის გამახვილება ფორმალურ დადგენილებებსა და ლიტონ მაღალფარდოვან ლოზუნგებზე; ოპონენტების უმნიშვნელო უზუსტობის გამო აურზაურის ატეხვა; ავისმჩხრეკელური „დასკვნის" გაკეთება და მუქარით „ზემოთ" დაბეზღება.

„განცხადების" ავტორები უარყოფენ, რომ შინ დაბრუნებული ქართველი ლტოლვილები უკან გამოაბრუნეს (!). თუ ასე არ არის, მაშინ ვინ არიან თბილისსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში განსახლებული ათასობით ჩრდილო ქართლელი დევნილები?! დაასახელონ, რამდენი დაუბრუნდა მშობლიურ კერას? შინდაბრუნებულად იმათ თუ თვლიან, ვინც მოატყუეს და თაღლითური „ანკეტები" შეავსებინეს, რომლის მიზანი მათთვის ლტოლვილის სტატუსის გაუქმება და უკეთეს შემთხვევაში კუთვნილი სახლ-კარის ჩალის ფასად გაყიდვაა (!).

„გულისწყრომას" გამოთქვამენ, ცხინვალის ღვთისმშობლის ეკლესიიდან ქვა არ არის ამოღებულიო. საპასპორტო დაფა ხომ არის ჩამოხსნილი, რომელზეც ნაგებობის ქართულობა იყო დადასტურებული? შენობის შიგა კედლები ხომ გადალებილია თვითნებურად?

განა ეჭვს იწვევს, რომ რეგიონის ისტორიული ხუროთმოძღვრების ძეგლები მთლიანად განადგურებული, ან განადგურების პირას არის მიყვანილი? რაზე მეტყველებს ახლახანს ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის აფეთქება?! მის აღსადგენად დღემდე ერთი ქვაც რომ არ დადებულა!!!

რეგიონში ქართულობის ამოძირკვის მცდელობას საერთოდ უარყოფენ, მაგრამ აღიარებენ, რომ ცხინვალში ვაჟაფშაველას ქუჩას ოსის სახელი უწოდეს. ამასთან დაკავშირებით უამრავიდან რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხონ: ისტორიული სახელწოდება „ცხინვალი" (ქრცხინვალი, ცხილოვანი) გამოითქმება როგორც „ცხინვალ"?! რატომ დაერქვათ ოსთა სახელები ადრე წუნარს, ოქონას, გიორგიწმინდას, ამჯერად ზონკარს და სხვა დასახელებულ პუნქტებს?! ანდა „გერი" „დუერ"-ია?! რატომ არის, რომ ტოპონიმების ყოველგვარი ხელოვნური შეცვლა განქართველებას ემსახურება?!




„განცხადების" მიხედვით ცხინვალში ქართული ენის შეზღუდვა სიცრუეა(!).

მაშ სად გაქრა ცხინვალის ასზე მეტი წლის I ქართული საშუალო სკოლა? ასევე ხანდაზმული მე-4 ქართული საშუალო სკოლა? რა ენაზე ღებულობენ ცხინვალში განათლებას ჩრდილო ქართლის მკვიდრი მოზარდები?!

თანამდებობიდან უმიზეზოდ (?!) არ ხსნიან ქართველებს. იქნებ გვითხრან, ცხინვალში რამდენი ქართველი მუშაობს ან თანამდებობაზე, ან უბრალო მუშად მაინც? ქალაქში დარჩენილი ორასიოდე ქართულ გვარიანდან თითო-ოროლა!

„განცხადებაში" ქართველთა დისკრიმინაციას იმითაც უარყოფენ, რომ მძევლად დარჩენილთ ქართული სოფლების მოსახლეობა თავისუფლად ჰყიდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსო (?!). უაღრესად გაჭირვებული ოსი და ქართველი თუ პიროვნულად ერთმანეთს ეხმარება ვაჭრობით მაინც, ნუთუ ცხინვალის თუ თბილისის მმართველების დამსახურებაა?

„განცხადებაში" განცვიფრებაა გამოთქმული: დევნილები რატომ ჩივიან: შინ დაბრუნების მსურველებს გადაულახავ ბიუროკრატიულ ჯებირებს გვიქმნიანო.

მაშ რისთვის ფუნქციონირებს ეგრეთწოდებული „რესპუბლიკის" ეგრეთწოდებული „საემიგრაციო სამსახური", რომლის დანიშნულება ლტოლვილთა „დაუკითხავად" შინ დაბრუნების ალკვეთაა?! თუმცა „განცხადება" უარყოფს, რომ შინ დაბრუნების მსურველებს ხელს აწერინებენ, ოსების არმიაში გვამსახურეთო, მაგრამ არ უარყოფს, რომ მათ ხელს აწერინებენ „ოსთა რესპუბლიკის" მოქალაქეები ვიქნებითო. რა „სასამართლოებს" უწყობენ შინ დაბრუნების მსურველებს?!!! სამწუხაროა, რომ გაზეთ „იუჟნაია ოსეტია"-ს ცრუპენტელობაში მხარს უბამს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა."

ცხინვალში „მოღვაწე" ციალა კახნიაშვილმა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოაქვეყნა საბჭოური სტილის სახოტბო ნარკვევი მე-6 ოსურ-რუსული სკოლის მასწავლებლის შესახებ. ამ სკოლის შენობიდან ასიოდე მეტრში მთლიანად იავარქმნილი I ქართული საშუალო სკოლის შენობა კი არც შეუნიშნავს, მის პედაგოგთა ბედ-იღბლით დაინტერესებაზე რომ არაფერი ვთქვათ. იგივე ჟურნალისტი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 26 თებერვლის ნომერში სიცრუეს უწოდებს: ქართველები შინ ვერ ბრუნდებიანო და საპირისპიროდ ორად-ორ ოჯახს ასახელებს. იქვე კი აღიარებს, ადგილობრივი „სასამართლოები" რომ არის საჭირო დევნილი მკვიდრი მოსახლის მიერ გაპარტახებული სახლ-კარის დასაბრუნებლად. იმავე პუბლიკაციაში დიდ უნარს ამჟღავნებს, რომ დაამტკიცოს, ცხინვალის ღვთისმშობლის კედლიდან ქვის ამოღება 1940-1984 წლებში უნდა მომხდარიყოო (დიდი შეღავათი ქართველებისათვის). არაფერს ამბობს, საპასპორტო დაფა როდის არის ჩამოხსნილი.

რა თქმა უნდა, დაქირავებული იმას წერს, რაშიც გასამრჯელოს უხდიან, მაგრამ მკვიდრი მოსახლეობის გენოციდის საწინააღმდეგოდ, თანამემამულეების ხმის ამოღებას ღვარძლის თესვად ნუ მონათლავს მაინც!!!

1998 წლის 23 თებერვლის გაზეთ „იუჟნაია ოსეტია"-ს ფურცლებზე გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორის არმაზ სანებლიძის ინტერვიუ, რომელშიც საქართველოს დამოუკიდებელი პრესა შეფასებულია, როგორც „ყვითელი", ჩრდილო ქართლს მოიხსენიებს, როგორც „ოსეთს". არ ივიწყებს ქართველთა „სინდისის ქენჯნას" ოს-ქართველთა კონფლიქტის გამო. ვერ „ამჩნევს" სპირტისა და ნარკოტიკების დანაშაულებრივ „ბიზნესში" როკის გვირაბის როლს.

რას იზამ!

ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა!

ერთი კია, მკვიდრი მოსახლეობისაგან ჩრდილო ქართლის ეთნიკური წმენდის მიჩქმალვა ვეღარ ხერხდება.

**გელა გელაძე**

# საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე

სამშვიდობო ტრაქტატის გავრცელება პოლონეთის მეგობარ ქვეყნებზე, კერძოდ საქართველოზე, ეწინააღმდეგება ტრაქტატის სამართლებრივ არსს და არ ეთანხმება საერთაშორისო სამართალს.

გერმანელები, თუმცა თავიანთი ვეიმარის კონსტიტუციაში ვალდებულებას ღებულობდნენ ეხელმძღვანელათ საერთაშორისო სამართლის ნორმებით, რაპალოს ტრაქტატი საქართველოზეც გაავრცეს და ამით სცნეს ძალადობა, რომელსაც მის მიმართ ჰქონდა ადგილი და რომელიც ამტკიცებდა ფრიდრიხ II-ის სიტყვებს: „ტრაქტატიდან გამომდინარე გარანტიები ხშირად ცარიელი სიტყვებია; დღეს მას იძლევიან, ხოლო შემდეგ მათ შესრულებისაგან თავისუფლდებიან ტრაქტატში ერთი სიტყვის ან წინადადების ორაზროვნად ჩაწერის წყალობით."

ინგლისმა, რომელმაც სცნო სსრკ, ისარგებლა ფორმულირებით, რომლის წინააღმდეგაც ასე ცხარედ გამოდიოდა თავის დროზე ჩიჩერინი, და რომელშიც ლაპარაკია იმის წესახებ, რომ ინგლისი სცნობს დე იურედ სსრკ ხელისუფლებას იმ ტერიტორიებზე, რომლებზედაც ამ ხელისუფლებას სცნობენ. ეს ფორმულირება ეხებოდა საქართველოსაც.

ყველაზე სწორი პოზიცია დაიკავა ბელგიამ, რომელმაც სსრკ-ს დე იურედ ცნობა დაუკავშირა საქართველოსთან ურთიერთობის მოგვარებას და მოითხოვა საქართველოს საოკუპაციო ჯარებისაგან განთავისუფლება.

რაც შეეხება საფრანგეთს, რომლის ურთიერთობაც საქართველოსთან ზემოთ დავახასიათეთ, მას მიაჩნია, რომ არაფერი არ შეცვლილა, და რომ საქართველო კვლავ სუვერენული სახელმწიფოა.

ამით ვამთავრებთ ნაშრომს. დასასრულს გვსურს გავიხსენოთ შემდეგი ფაქტი: აზიურ (!) თურქეთს არასოდეს არ უცვნია პოლონეთის დაყოფა და ამდენად სამართალს მიანიჭა უპირატესობა უხეშ ძალასთან შედარებით.

ასევე ევროპის სახელმწიფოთა მოვალეობა იყო, თუკი მათ სურდათ შეესრულებინათ ცივილიზებულ სახელმწიფოებზე დაკისრებული მოვალეობა, არ ეცნოთ ძალადობა საქართველოზე, სუვერენულ სახელმწიფოზე; წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ემსგავსებიან რუსეთს, სადაც, როგორც ზევითაც ვლაპარაკობდით, ძალადობას და უხეშ ძალას უპირატესობა აქვს სამართალზე.

როდესაც ჩვენი ნაშრომი უკვე დასრულებული გვქონდა, ტელეგრამამ მოიტანა ცნობა, გავრცელებული რუსპრესის მიერ, რომ საფრანგეთმა სსრკ მთავრობის მოთხოვნით ამოშალა საქართველო საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობასთან აკრედიტირებულ სახელმწიფოთა სიიდან. ამ ცნობას გარკვეული სიფრთხილით მოპყრობა სჭირდება, რადგან იგი შესაძლოა პროვოკაცია იყოს რუსეთის მხრიდან. მაგრამ თუნდაც რომ ეს ცნობა სინამდვილეს შეესაბამებოდეს, ჩვენს არგუმენტებს ღირსება არ მოაკლდებოდა. საქართველო, მიუხედავად ყველაფრისა, სამართლის თვალსაზრისით,



დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა. ამასთან, უფრო მეტის პატივისცემით მოვეპყრობით პროფ. მაკოვსკის სიტყვებს (გვ. 146, 147), რომელიც ამბობს: „სინამდვილემ შეიძლება ზოგჯერ გაამართლოს საერთაშორისო ძალადობა და უსამართლობა, მაგრამ სამართალმა ყოველთვის უნდა დაგმოს იგი."

თუკი დავდგებით საქართველოს სუვერენობის უარყოფის პოზიციებზე, მაშინ ვუბრუნდებით XVIII საუკუნეს და ვაღიარებთ ფრიდრიჰ ვილჰელმის სიტყვების სისწორეს: „ყრუა მორალი, ყრუა კერძო სამართალი." მაშ, დავუმატებთ ჩვენ — საერთაშორისო სამართლიც ყრუ ყოფილა.

ჩვენი წიგნის გამოცემის მომენტში მივიღეთ ქვემოთ მოტანილი დოკუმენტი, საიდანაც ცხადი ხდება, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები, მიუხედავად 1823 წლის მონროს პრინციპების ერთგულებისა, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ ეს ქვეყანა არ უნდა ჩაერიოს ევროპის საქმეებში, საქართველოს მიმართ სამართლიან პოზიციას იკავებს. ეს ჩანს ამერიკის შეერთებული შტატების სენატის გადაწყვეტილებიდან, რომელიც ითვალისწინებს ამ ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლის აკრედიტებას საქართველოს მთავრობასთან, რომლის რეზიდენციასაც პარიზი წარმოადგენს. ეს გადაწყვეტილება შემდეგნაირად ჟღერს:

საქართველოს საქმე ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესზე

69

კონგრესი — I სხდომა

ს. ჟ. რეს — 70

შეერთებული შტატების სენატში 1926 წლის 11 მარტს პ. სოპელანდ ერთხმად იღებს დადგენილებას, რომელიც ორჯერ იქნა

გაგრძელება მეექვსე გვერდზე.

## მსოფლიოს გარშემო

### ჩილე ჩაფიქრებულია

„ჩილე აღარაა რეფორმის გატარების ლიდერი იბერო-ამერიკაში" (სამხრეთ ამერიკაში) — განუცხადა გაზეთ „ელ მერკურიოს" ჰოლანდიური საინვესტიციო ბანკის „ი-ენ-გეს" წარმომადგენელმა არტურო პორზეჩანსკიმ. „ჩილეს დღევანდელ მთავრობას აკლია გამბედაობა" — თქვა მან — „თქვენს ქვეყანას ეკარგება თავგადასავლის მაძიებლის სულისკვეთება, რომელიც მას ახასიათებდა 1980 წლის შემდეგ ათწლეულში." ამ მკაცრი დიაგნოზის საფუძველი ის არის, რომ ჩილე „სტაგნაციის" მდგომარეობაში ჩავარდა პრივატიზაციის საქმეში. მას გაუსწრეს კონტინენტის სხვა ქვეყნებმა, რომლებიც ხალისით ათავსებენ საკვანძო მნიშვნელობის კომპანიებს უცხოელთა ხელში, მათ შორის — ისეთი სტრატეგიული დარგების კომპანიებს, როგორიცაა ნავთობი და სპილენძი.

ჩილელი ეკონომისტი სებასტიან ედვარდსი, რომელიც ერთ დროს მსოფლიო ბანკის მთავარ ეკონომისტად იყო იბერო-ამერიკისათვის (სამხრეთ ამერიკისათვის), კიდევ უფრო ნათლად ჩამოყალიბებულ შეხედულებათა პატრონია. მისი აზრით, ჩილემ უნდა გამოიყენოს დრო, სანამ აზია ფინანსური კრიზისითაა მოცული, და სწრაფად გაატაროს თავისი რეფორმები. კერძოდ, მან უნდა გააპრივატოს გიგანტური სახელწიფო სპილენძის კომბინატი „კოდელკო", სახელმწიფო ნავთობის კომპანია და სახელმწიფო ტელევიზია.

### „ლეშიჭამია" ფონდები

ასე ეწოდა კაპიტალთა იმ ფონდებს, რომლებიც განკუთვნილია იმ გაიაფებული კომპანიების შესაძენად, რაც პრივატიზაციას დაექვემდებარება აზიური ქვეყნების ვალუტების უზარმაზარი გაუფასურების შედეგად, და ამავე მიზეზით გაკოტრებული ფირმების შესასყიდად.

### მიგრაციის გეოგრაფია იცვლება

თუ აზიის ამ ცოტა ხნის წინ ეკონომიკური ბუმით აყვავებულ ქვეყნებში მეზობელი სახელმწიფოებიდან მუშახელის უხვი ნაკადი მიედინებოდა, ახლა, კრიზისთან დაკავშირებით, ეს მშრომელები პირველნი კარგავენ სამუშაოს და იძულებულნი არიან დასაქმება სხვა, ისევ უცხო ქვეყნებში ეძებონ, მათი რიცხვი ასტრონომიულია. მალაიზიაში მათი რაოდენობაა 1,8 მილიონია, (აქედან 800 ათასი არალეგალურად იმიგრირებული), სამხრეთ კორეაში 1,4 მილიონი უკანონო ემიგრანტია, ტაილანდში — 700 ათასი უკანონო და 300 ათასი კანონიერი, მათი სამშობლოა, ძირითადად ბანგლადეში, ბირმა და ფილიპინები. ახალი ბედის ძებნას აპირებენ, ძირითადად, ავსტრალიაში, ევროპაში, იაპონიაში და ჩრდილოეთ ამერიკაში.

### ჰილარი კლინტონი მეუღლეს იცავს

თავის სატელევიზიო გამოსვლაში პრეზიდენტ კლინტონის წინააღმდეგ გამართული კამპანიის გამო, რომელიც მის „რომანულ თავგადასავლებს" ეხებოდა, მისმა მეუღლემ დაიჩივლა, რომ ამგვარ ცილისწამებას იგი ჩვეულია მას შემდეგ, რაც მისი ქმარი პირველად ჩაება საპრეზიდენტო არჩევნების მარათონში. „ყველაზე კარგი, რაც ამ დროს შეიძლება ქმნათ, ისაა, რომ მოთმინებით აღიჭურვოთ" — თქვა მუსუსობამიწერილი ქმრის ცოლმა.

იმდენი რამე გვინახავს — იმდენი ცილისწამება მკვლელობის, ნარკოვაჭრობის ჩათვლით, — რომ არაფერი აღარ გვიკვირსო. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენს სახელმწიფოში სისხლის სამართლის იუსტიცია პოლიტიკური მიზნებისთვის არის გამოყენებულიო. დღეს აქ მხოლოდ იმიტომ კი არ ვარ, რომ ჩემი ქმრის სიყვარული და ნდობა მაქვს, არამედ იმიტომაც, რომ ჩემი ქვეყნის სიყვარული და ნდობა მაქვსო. მე რომ მხოლოდ მოქალაქე ვყოფილიყავი, და არა პრეზიდენტის ახლობელი, მაინც ძალიან ვიწუხებდი, რადგან კანონებში ჩახედული ვარო.

მთელ კამპანიას ჰილარი კლინტონმა უწოდა „მემარჯვენე შეთქმულება" პრეზიდენტის წინააღმდეგ, რომელიც მოქმედებაშია მისი არჩევის დღიდან.

# საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე

მეხუთე გვერდიდან

წაკითხული და წარმოდგენილი საგარეო საქმეთა კომიტეტის მიერ.

ერთხმად მიღებული დადგენილება, რათა დახმარება გავუწიოთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლის მეშვეობით.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საქართველოს სამეფო, რამდენიმე საუკუნის მანძილზე ინარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობას, თავისი რასის სიწმინდეს, თავისი ენის უზადობას, თავისი დაწესებულებების მთლიანობას და თავის უფლებებს, მტრების განუწყვეტელი თავდასხმებისაგან, რასაც ის გარემოება იწვევდა, რომ ეს სამეფო დასახლებული იყო ხალხით, რომლებიც IV საუკუნიდან ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდა.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ სამეფო შეცვალა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომელიც თავისი კონსტიტუციით სამართლიანად იყო დაფუძნებული, 1918 წლის 26 მაისს;

და ვიღებთ რა მხედველობაში, რომ რუსეთის ხელისუფლებამ, რომელმაც ფორმალურად სცნო საქართველოს რესპუბლიკა 1920 წელს, შემდგომ შეიჭრა მის საზღვრებში და დაიპყრო იგი, ახლა თავისი კონტროლი აქვს დაწესებული ამ მიწაზე, რამაც აიძულა მოსახლეობა თავისი სახელმწიფოებრივი საქმიანობა თბილისიდან ბათუმში, ხოლო მოგვიანებით საფრანგეთში გადაეტანა, სადაც ახლა მისი წარმომადგენლები მსახურობენ; და ვინაიდან კონგრესი აღიარებს, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ უნდა გამოხატოს თავისი გულისწყრომა რუსეთის მთავრობის მიერ ჩადენილი უსამართლობისა და არაფრით დასაბუთებული მოქმედების გამო და ასევე გამოხატოს თავისი სიმპათიები საქართველოს რესპუბლიკისადმი, ამერიკის შეერთებული შტატების სენატისა და წარმომადგენლობათა პალატის მიერ, რომლებიც შეიკრიბნენ კონგრესზე, მიღებული იქნა დადგენილება, რომ საჭიროა განისაზღვროს ხარჯები, რომლებიც საჭირო იქნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლის აკრედიტირებისათვის, მაშინ, როდესაც პრეზიდენტი საჭიროდ ჩათვლის, რათა დაწესდეს ეს თანამდებობა.



ქართველები პოლონეთში.

**P. S.** ეს ნაშრომი ეყრდნობა მასალებს, რომლებიც ამოღებულია შემდეგი ნაწარმოებებიდან:

დოქ. იულიან მაკოვსკი — საერთაშორისო სამართალი. ვარშავა, 1922.

— ახალი კონსტიტუცია. ვარშავა, 1925.

დოქ. ზიგმუნდ ციბიხოვსკი — საერთაშორისო სამართლის სისტემა.

ლუდვიგ კულჩინსკი — მეცნიერება სახელმწიფოს შესახებ (ლექციების ციკლი).

ზ. ავალოვი — საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო პოლიტიკაში. პარიზი, 1924.

საქართველოს შეერთება რუსეთთან.

ასევე გამოქვეყნებული იყო მრავალი დოკუმენტი, ინსტრუქცია და ა. შ. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და საბჭოთა მთავრობის.

**P. S. S.** 1921 წელს უფრო მეტად პატრიოტულად განწყობილმა ქართველ სოციალ-დემოკრატთა პარტიამ პოლიტიკური ასპარეზი საქართველოში უფრო მეტად სოციალურად განწყობილ პარტიას დაუთმო (ვერ ვიტყვი, რომ ამ უკანასკნელთ არ ჰყვარებიათ სამშობლო — ბუდუ მდივანზე, შალვა ელიავაზე, ოკუჯავაზე და მათ მსგავს კომუნისტთა გუნდზე ამის თქმა ძალზე ძნელია. ისინი საბოლოოდ აკი საქართველოს სიყვარულით გამოწვეულ „ნაციონალ-უკლონისტობას" შეეწირნენ (?!) და სამშობლო დატოვეს.

და თუმცა მთელი ქართული ემიგრაცია პოლონეთის მაშინდელმა პოლიტიკურმა და სამხედრო მეთაურმა ი. პილსუდცკიმ მიიწვია, მაგრამ ემიგრანტთა ძირითადი ბირთვი საფრანგეთში დასახლდა (ჟორდანიას, რამიშვილის და სხვათა მეთაურობით), ხოლო ნაწილმა კი, ძირითადად სამხედროებმა, პოლონეთი ამჯობინა, აქ დასახლდა, დაოჯახდა და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა თავის მეორე სამშობლოს.

ამ მეორე ჯგუფში შედიოდა ა. გოძიაშვილიც. როგორც აწ უკვე დასრულებული მისი ნაშრომის შესავალშიც აღვნიშნეთ, ა. გოძიაშვილი ოჯახის სარჩენად აუცილებელი სამეურნეო საქმიანობის გარდა მეცნიერულადაც მუშაობდა და მისი ამგვარი ღვწის შედეგს ზემოთ დაბეჭდილი ნაშრომი წარმოადგენს. და თუმცა ეს ნაშრომი თავისუფლად ამოუდგება გვერდში სხვა ქართველი ემიგრანტების ნაშრომებს (ნ. ჟორდანია: „წიგნი ოჯახში საკითხავი", „ჩემი წარსული" და სხვა, ზურაბ ავალიშვილის „საქართველოს დამოუკიდებლობა" და სხვა), მაგრამ ეს წიგნი ათეული წლების მანძილზე ამაოდ ელოდა თავის ქართველ მკითხველს ვარშავის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. 1997 წელს, მე, როგორც პოლონური ლიტერატურის მთარგმნელი, ამ უნივერსიტეტმა მიმიწვია აქ გამართულ კურსებზე. ვისარგებლე შემთხვევით და აღნიშნული ნაწარმოების ქსერო-ასლი გავაკეთე. რამდენიმე ქართულმა გაზეთმა უარი თქვა წიგნის დაბეჭდვაზე. ეს გასაგებიც არის: თუ გაზეთმა მხოლოდ პატრიოტული მოტივებით იხელმძღვანელა, დღევანდელ ჩვენს კონკურენტულ ბაზარზე დიდხანს ყოფნა გაუჭირდება. ამიტომ გაზეთ „საქართველოს", ვფიქრობ, ეკუთვნის დიდი მადლობა ჩემგანაც და იმ მკითხველისაგან, ვინც ნაწარმოები წაიკითხა, მისი დაბეჭდვისათვის. იმედი ვიქონიოთ, რომ ნაწარმოების წაკითხვით მიღებული ცოდნა მცირე წვლილს მაინც შეიტანს, საქართველოს საბოლოოდ განთავისუფლების საქმეში.

**პოლონურიდან თარგმნა ამბროსი ვრიშიკაშვილმა
პოლონეთის კულტურის დამსახურებულმა მოღვაწემ**

# მითი და რეალობა რუსეთის ისტორიის შესახებ ანუ რუსები სულაც არ ყოფილან რუსები?!.

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" № 18-30.

დიდი რუსი ერის შესახებ ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. მისი ჩამოყალიბება ვ. ო. კლიუჩევსკის მიხედვით, მიმდინარეობს ორი საუკუნის მანძილზე, კერძოდ, XIII საუკუნიდან XV საუკუნის ჩათვლით. ამასთან, დიდი რუსი ერის ძირითად ელემენტებად გვევლინებიან აბორიგენები, ანუ უგრულ-ფინური ხალხები (მხედველობაში გვაქვს მოსკოვი).

დნეპრის რუსიდან გადასახლებულები, როგორც იგივე კლუჩევსკი უჩვენებს, შეადგენდნენ უმნიშვნელო ნაწილს ახალი ეროვნული ფორმულის ჩამოყალიბებაში, თუმცა მათ თან მოიტანეს ენა და მრავალი ადათ-წესები სამხრეთის ხალხებისა. „ყველა ამ ეთნოგრაფიული ელემენტებიდან... XV საუკუნის შუა ხანებისთვის... ჩამოყალიბდა ახალი ეროვნული ფორმაცია... დიდი რუსი ერი".



აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, იმავე კლუჩევსკის მიერ შენიშნული... ურდოს ყაენები არ აძლევდნენ რუსებს (მხედველობაშია განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთის სათავადოები — ვ. ხ.) მიეღოთ მათი წესი ცხოვრებისა, არამედ სჯერდებოდნენ მხოლოდ ხარკს". მეტიც, ყაენის „წყალობით" ხშირად შეწყვეტილა სათავადოებს შორის გაჩაღებული ურთიერთბრძოლა და ურთიერთ-ულეტვა".

ზევით ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ თათრებს ხელს არ აძლევდა სათავადოების განადგურება და დანგრევა.

უკვე მე-13 საუკუნის 70-80-იანი წლებიდან რუსი თავადები ურდოს ურთიერთწინააღმდეგობებში უფრო მოკავშირის, პარტნიორის როლს თამაშობენ. თათარ-მონღოლთა ინტერესი ჩრდილო-აღმოსავლეთის სათავადოების მიმართ ფრიად საქმიანი და მერკანტილური იყო. ურდო, კიდევ ვიმეორებთ, დაინტერესებული იყო საკუთარი ხაზინის შევსებისათვის იმ სათავადოების შენარჩუნებით, რომლებიც ხელუხლებლად იყვნენ შენარჩუნებულნი და სადაც მკაცრი წესრიგი სუფევდა. ასეთი წესრიგის შენარჩუნებისათვის თათრებმა საკუთარ პარტნიორებად შეარჩიეს მეტ-ნაკლებად ამორალური და უპრინციპო თავადები მოსკოვისა.

ალექსანდრე ნეველის მიერ ჩაგდებული მავნე თესლის შემდეგ მოსკოვის ისტორია გაივსო ურთიერთქიშპობის, ომებისა და ღალატის ფაქტებით. დანილა-უმცროსმა მუხანათურად ჩამოიცილა უფროსი ძმები და ჯერაც უცნობი მოსკოვი გახდა ურდოს ვასალებს შორის გამოჩინებული. კლიუჩევსკის სიტყვებით, მოსკოვის თავადები „თავიანთ საქმეს იწყებდნენ მოურიდებელი მტაცებლობით".

არ ჰქონდათ რა არავითარი უფლება უფროსობაზე, მათ შეიმუშავეს მოქმედების გეგმა, „რომელიც ეყრდნობოდა არა ძველ გადმოცემებს, არამედ ვითარების შესაბამის ანგარიშიანობაზე".

გავიხსენოთ თუნდაც ის, თუ რის საფუძველზე მიიღო დიდი თავადის ტიტული ვასილ მეორემ. მამის სიკვდილის შემდეგ მან ბრძოლა დაუწყო კანონიერ მემკვიდრეს, თავის ბიძას იურის, რომელიც დიდი თავადის ტიტულის მოპოვებას ცდილობდა როგორც რიურიკების კანონის, ასევე მამამისის, დიმიტრი ივანეს ძის ანდერძის მიხედვით.

უგულებელყო რა ყველა ეთიკური და მორალური ნორმები, ასევე კანონები ტახტის მემკვიდრეობის შესახებ, ვასილიმ მოიპოვა დიდი თავადის წოდება და განუცხადა, რომ „სამართლის წყაროა... ყაენის წყალობა და არა ძველი მემატიანენი და მკვდარი სიგელები". ყაენმა, რასაკვირველია, სასწორი ვასილის მხარეს გადასწონა. როგორც ვხედავთ, უზნეობა და ფიცის გატეხვა ნორმად იქცა მოსკოვში.

მიიღო რა ყაენისგან უფლება სათავადოების მიწებიდან ხარკის აკრეფისა და ურდოში მისი მწყალობლების ულმერთოდ გაქურდვისა, მათ დაიწყეს მიმდებარე მიწებისა და მთელი სათავადოების შესყიდვა. იქ, სადაც არ ხერხდებოდა საქმის მშვიდობიანად მოგვარება, ისინი იყენებდნენ ურდოს საშუალებით ძალით მიტაცების მეთოდებს. გარდა ამისა, ურდოში დასმენებისა და „ჩაშვების" გზებსაც არ ერიდებოდნენ (იურიმ ურდოში დალუპა საკუთარი ბიძა, მიხეილ ტვერელი, დაადანაშაულა რა იგი ხარკის ნაწილის დამალვაში ურდოსაგან, თუმცა თვითონვე დაუმალა ურდოს ეს ხარკი და ა. შ.).

ივანე კალიტა იქცა ურდოს ყველაზე სასურველ სტუმრად. ყაენმა ივანეს დაავალა „დაესაჯა ტვერის თავადი აჯანყებისათვის" (საუბარია მოკლულ მიხეილ ტვერელის შვილზე, ალექსანდრეზე). როგორც მითითებულია წყაროებში, ივანემ გაანადგურა ტვერის სათავადო და „უბრალოდ, მთელი რუსეთის მიწა იავარყო".

ჯილდოდ კალიტამ 1328 წელს მიიღო დიდი თავადის სახელი. „მოსკოვის თავადი შემდეგ გადაიქცა რუსი თავადების სრულუფლებიან ხელმძღვანელად და მოსამართლედ". მაგრამ, რაც მთავარია, „1353 წელს ივანემ ყაენისგან მიიღო დიდი თავადის წოდებასთან ერთად ჩრდილოეთ რუსეთის თავადებზე სასამართლო ხელისუფლებაც, ყაენმა უბრძანა მათ დამორჩილებოდნენ დიდ თავადს ივანეს და სასამართლო განაჩენიც მისგან მიეღოთ".

**ვლადიმერ ხვედელიძე**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## მსოფლიოს გარშემო

### აფრიკა ამერიკის ყურადღების მორიგი საგანია

კლინტონის ამასწინანდელი ვიზიტით აფრიკის ექვს ქვეყანაში (განა, უგანდა, რუანდა, სამხრეთ აფრიკა, ბოტსვანა, სენეგალი) დამყარდა ამერიკელი პრეზიდენტების ახალი რეკორდი: მანამდე ყველაზე მეტ აფრიკულ სახელმწიფოში ნამყოფი იყო ჯიმი კარტერი, რომელმაც სამი სახელმწიფო მოიარა ერთდროულად. თავისი მგზავრობის მიზნად შავ კონტინენტზე მისულმა



კლინტონმა გამოაცხადა ამერიკასა და აფრიკას შორის „ახალი პარტნიორობის" დამყარება, „დემოკრატიის წრის განსრულება" და აფრიკის „XXI საუკუნეში შეყვანა" ეკონომიკური მდგომარეობის მხრით. მისი მოგზაურობის ნათელ ჰორიზონტს ჩრდილს ჰფენს მხოლოდ კონფლიქტის მუდმივი საშიშროება უგანდასა და სენეგალს შორის.

პრეზიდენტის ვიზიტის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მას თითქმის 300 მხლებელი ჰყავს დარგობრივი უწყებების რამდენიმე უმაღლესი მეთაურის, კონგრესმენების, სხვა გამორჩენილი მოქალაქეების ჩათვლით.

განის დედაქალაქ აკრაში კლინტონმა სიტყვით მიმართა 500 ათასიან აუდიტორიას და იმედი გამოთქვა, რომ „ახალი აფრიკული რენესანსი" იწყება. „ჩვენ უნდა ავაგოთ სკოლები, შევქმნათ კომპანიები, გავზარდოთ სურსათით დახმარება და დავზოგოთ გარემო. აშშ მზად არის, დაგეხმაროთ" — თქვა მან. მან შეერთებული შტატების სააფრიკო პოლიტიკის სამი მიზანი მოხაზა: პირველია დემოკრატიის გავრცელება. მეორეა ეკონომიკური აყვავება. იგი მიიღწევა ბაზრების გახსნით და ბიზნესის აშენებით. „საუკუნეთა მანძილზე სხვა ხალხები უწევდნენ ექსპლოატაციას აფრიკის ოქროს, აფრიკის ბრილიანტებს, აფრიკის მინერალებს. ახლა დრო მოვიდა აფრიკელებმა განავითარონ ის, რაც ამაზე ძვირფასია. — აფრიკელთა გონება და გული — განათლების საშუალებით." მესამე მიზანია ძალადობის აღმოფხვრა ამ კონტინენტზე. „ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, რათა ბოლო მოვუღოთ ომს, რომელიც ჯერ კიდევ გლეჯს აფრიკის გულს. ჩვენ უნდა დავეხმაროთ აფრიკელებს, რომ არ დაუშვან მომავალი კონფლიქტები" — თქვა პრეზიდენტმა.

### „დიანას ომი" გრძელდება

სათნო და მშვენიერი პრინცესა დიანას ტრაგიკული სიკვდილი მოსვენებას არ აძლევს ასობით მილიონი ადამიანის არც ცნობისმოყვარეობას, არც მორალურ გრძნობას. მას შემდეგ, რაც ავარიას გადარჩენილი ერთადერთი ადამიანი, მცველი რის ჯონსი ექვსი თვის თავზე საავადმყოფოდან გამოვიდა და სრული ჩვენება მისცა, ახალი ძალით იფეთქა ეჭვმა, რომ ავარია შემთხვევითი არ იყო. მოწმეს მიაჩნია, რომ ავარია არ იყო მძღოლის სიმთვრალით გამოწვეული შემთხვევითობა. პირიქით, არც რის ჯონსს, არც მეორე მცველს კეს უინგფილდს მისთვის საეჭვო არაფერი შეუტყვიათ, როცა, წესისამებრ, მას შეხვდნენ ოტელიდან გამომგზავრების წინ. მოწმემ უჩვენა, რომ ოტელიდან გამოსულ „მერსედესს", სადაც პრინცესა და მისი მეგობარი დოდი ფაიადი ისხდნენ, აედევნა ორი ავტომანქანა და ერთი მოტო-



ციკლეტი. ერთი იყო თეთრი სამკარიანი მანქანა, — ალბათ „ფიატ უნო", რომლის საღებავის კვალი პოლიციამ იპოვა „მერსედესზე" დაჯახების შემდეგ. წინააღმდეგ ადრეული გამოძიების აზრისა, „მერსედესი" მოძრაობდა არა 120 მილის, არამედ 60 მილის სისწრაფით. მცველის ჩვენება ემთხვევა ათობით მოწმისას, რომლებიც აღნიშნავენ, სხვათა შორის, რომ ადგილი ჰქონდა დამაბრმავებელ მიშუქებებს „მერსედესზე" ავარიის წინა მომენტში. „ფიატი უნო" გამქრალია. იგი ძიების მასალებში არ ფიგურირებს.

პრინცესა დაიანამ 2 საათი იცოცხლა ავარიის შემდეგ და შინაგანი სისხლის დენით გარდაიცვალა. დროზე რომ აღმოჩენილიყო საოპერაციო მაგიდაზე, იგი გადარჩებოდა.

დაღუპული დოდ ფაიედის მამამ, მილიარდერ მოჰამედ ალ-ფაიადს გაცხადებული აქვს, რომ 99,9 პროცენტით დარწმუნებულია, ავარია მოწყობილი იყო. მოჰამედ ალ-ფაიადი და მისი კუთვნილი სასტუმროს უშიშროების დირექტორი მაკანამარა დააკავეს პოლიციაში და დაკითხეს, მაგრამ როგორც ირკვევა, ეს დაკითხვა სხვა თემას ეხებოდა.

# სანამ მტრისა და მოყვრის გარჩევას ვერ ვისწავლით...

ვარდიკო ნადიბაიძე თავდაცვის მინისტრობისათვის თუ რა შეუფერებელი პიროვნებაც იყო, ბავშვმაც კი იცოდა, მაგრამ ბატონი პრეზიდენტი დიდხანს ვერ ელეოდა მის ფიგურას. ნადიბაიძის მინისტრად დანიშვნის მთავარი საფუძველი იყო ის, რომ იგი როგორც რუსი გენერალი, მეგობრულ გრძნობებში გახლდათ გადაფსკვნილი „პაშკა მერსედესად" წოდებულ რუსეთის თავდაცვის მინისტრ გრაჩოვთან და აქედან გამომდინარე, ჩვენს უმაღლეს ხელისუფალთ იმედი ჰქონდათ, რომ იგი შეძლებდა ქართული ჯარის რუსული იარაღით აღჭურვას. მაგრამ, როგორც წინათ მრავალგზის, ისე ამ საქმეშიც ხელისუფალთა პროგნოზები არ გამართლდა და ჩვენი ყოფილი მინისტრისთვის ორიოდე დაჟანგული ტანკისა და ორიოდე ძირგავარდნილი კატერის გარდა რუსეთმა ვერაფერი გაიმეტა, ისინიც ალბათ ნადიბაიძემ რუს გენერალიტეტს ქართული კონიაკით გამობრუჟულებს გამოსცინცლა (ქართული კონიაკის რუსეთის სალდაფონიაში დიდი გასავლისა და ყოვლისშემძლეობის შესახებ საქართველოს მთავრობის ექს-ვიცეპრემიერისგან პირადად მომისმენია, თუ როგორ მოახერხა მან 1993 წლის ოქტომბერში ერთი ყუთი კონიაკით რუსეთის ფლოტის ადმირალის ბალტინის დათანხმება, რომ მას ფოთისათვის რუსული სამხედრო გემები მოეყენებინა და რუსული დესანტით კუდით ქვა ესროლინებინა ზვიადისტებისათვის — გ. თ.)

მოკლედ, როგორც იქნა, ერთი ჭირი მოაცილეს ქართულ ჯარს, მაგრამ ამ სანაქებო საქმეში მადლობა უნდა ვუთხრათ პარლამენტს, რადგან, რომ არა მათი გადაწყვეტილება, იმპიჩმენტი მოეწყოთ



ნადიბაიძისთვის, ვინ იცის, კიდევ სადამდე გასტანდა ამ ხეზე შემომჯდარი მწყერის ფრთხიალი. ხომ ცნობილია, რომ პრეზიდენტი სანამ მთლიანად არ გამოსწურავს ლიმონივით თანამდებობის პირს, უფრო სწორად, სანამ ესა თუ ის თანამდებობის პირი პირადი ინტერესით სანამ პირწმინდად არ გამოსწურავს ქვეყანას წვენს, მანამდე ადგილი უნარჩუნდება.

იმპიჩმენტით კი თავის მიერ დანიშნული მინისტრის მოხსნა, ეტყობა საკუთარი ღირსების შელახვად მიიჩნია პრეზიდენტმა და გადაწყვიტა მინისტრის განთავისუფლება პარლამენტისთვის დაესწრო, მით უმეტეს, საბაბიც მშვენიერი გამოჩნდა: ის თვითმფრინავები, რომლებიც პრეზიდენტის თვითმფრინავს ვიზიტების დროს ესკორტით უნდა დაჰყვებოდნენ, დაუზიანებიათ. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში თავდაცვის მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დამდგარიყო, მაგრამ, როცა გაირკვა, საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალების აღნიშნული თვითმფრინავები მიბარებული ყოფილა ალექსეევკის აეროპორტში რუსეთის სამხედრო ქვეგანაყოფისათვის,, ჩემი აზრით, აქ მთავარსარდალსაც ეკისრება გარკვეული პასუხისმგებლობა. ვინ, ვინ და მთავარსარდალმა ხომ კარგად უწყის, რომ რუსეთი და მისი სამხედრო მანქანა დაუნდობლად მტრობს საქართველოს და მის არმიას. ამას ხომ მტკიცება არ სჭირდება, იმდენად ნათელია და ამგვარი მტრულად განწყობილი ძალისათვის სამი სამხედრო თვითმფრინავის მიბარება ხომ იგივეა, მგელს ცხვარი მიაბარო მოსავლელად? ისედაც, ქართულ ჯარს თითებზე დასათვლელი თვითმფრინავები ჰყავს მწყობრში და სამი თვითმფრინავის ასე დაუფიქრებლად მტრისთვის გადაცემა განა უაზრობა არ არის? მოტორში ქვები ჩაუყრიათო, უკვირს ზოგიერთს, მე კი ის არ გამიკვირდებოდა, ზედ რომ ნელი მოქმედების ბომბები მიემაგრებინათ და სამივე ჰაერში აეფეთქებინათ. ნუთუ, ერთი აეროპორტი ვერ გამოიძებნა საქართველოში, რომ საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების სრულ საკუთრებად იქცეს, რათა რუსებმა იქ ცხვირის ჩაყოფა ვერ მოახერხონ?

რა ტვინის ჭყლეტა უნდა იმ ჭეშმარიტების გაცნობიერებას, რომ სანამ მტრისა და მოყვრის გარჩევას ვერ ვისწავლით, მანამდე არაფერი გვეშველება და ყოველთვის ისე სამარცხვინოდ დავმარცხდებით, როგორც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.

**გია თვალავაძე**

# სამშობლო მათ სახელს სანთლებად აინთებს...

თბილისის 127-ე სკოლაში, რომელიც რუსთავის გზატკეცილზე, სოლანლუღად ცნობილ უბანში



ხვთისო ჯაბანაშვილი

მდებარეობს, 28 აპრილს ჩატარდა საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნის საღამო. აღნიშნული ღონისძიება მოამზადა ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ქალბატონმა ლიანა შარიქაძემ.

127-ე სკოლის უფროსკლასელებმა პატივი მიაგეს მათივე სკოლის აღზრდილების ხსოვნას, რომელთაც თავი დასდეს სამშობლოსათვის და შეეწირნენ მის კეთილდღეობას.



ზაზა ქავთარაძე

სიმღერის — „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა"— ფონზე, მოსწავლეები იხსენებდნენ სულ ცოტა ხნის წინათ მათივე თანატოლებს, დღეს კი გმირებად ქცეულ მამულიშვილებს: გია თასოშვილს, რომელიც სამაჩაბლოსა და აფხაზეთისათვის ბრძოლებს გადაურჩა და ფოთში ძმათამკვლელ ომში დაიღუპა, ზაზა ქავთარაძეს, აფხაზეთში დაღუპულ ვაჟკაცს, რომელიც ჩადენილი გმირობისათვის ვახტანგ გორგასლის ორდენით არის დაჯილდოებული, ზურაბ ჯაშიაშვილს, შავნაბადას ბატალიონის ოფიცერს, რომელიც აფხაზეთში მტრის ტყვიით განგმირული დაეცა 1993 წლის აგვისტოში, ღვთისო ჯაპანაშვილს, რომელიც 1993 წლის თებერვალში საბრძოლო ოპერაციის შესრულებისას დაიღუპა აფხაზეთში.

მოსწავლეებმა ცრემლისმომრევი სიტყვებით მოიგონეს 9 აპრილი, ქართველი ერის ისტორიაში შესულ ამ გმირულ დღეს მიუძღვნეს



ზურა ჯაშიაშვილი

ლექსები და სიმღერები. ნუგეში სცეს თავიანთ მასწავლებელს ქალბატონ ლია მელქაძეს, 9 აპრილს დაღუპული მანანა მელქაძის დედას.

სამშობლოს ძლიერებისათვის, საქართველოს ერთიანობისათვის ახალ გმირობათა ჩასადენად მოუწოდებდა ჩვენი დიდებული წინაპრების ლექსების სტრიქონები, რომლებიც ხმამაღლა ჟღერდა დარბაზში: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება"... „სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა..." „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი"...

ბოლოს სამშობლოსათვის დაღუპული ერთ-ერთი გმირის დედამ მრავალისმთქმელი სიტყვებით თვალცრემლიანმა განაცხადა: ჩვენი შვილების სისხლი ალალი და უსაყვედურო ყოფილიყოს



მანანა მელქაძე

საქართველოსთვისო. აფხაზეთი, რისთვისაც მათ თავი გაწირეს დაბრუნებოდეს ჩვენს ქვეყანას, მათთვის დიდება და პატივი სწორედ ეს იქნებაო.

დასასრულ, სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ნინო ლავთაძემ ორიოდე სიტყვით მოიგონა დაღუპულები.

ასე დამთავრდა ეს სევდიანი და ამავე დროს ეროვნული სიამაყის მომგვრელი საღამო, რადგან სამშობლოსათვის დაცემულ გმირთა გახსენებით, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ მებრძოლი ქართული სული არ ჩამკვდარა და იგი



გიორგი თასოშვილი

თავის ღირსეულ გამარჯვებას კიდევ გამოსჭედავს.

**გია ბაშელი**

## ახალი ამბები

### არასამთავრობოები ომბუდსმენს აპოლიტიკურობისკენ მოუწოდებენ

„ომბუდსმენი დავით სალარიძე მოქმედებს ისე, თითქოს იგი რომელიმე პოლიტიკური ძალის წარმომადგენელია" - განაცხადა დღევანდელ კონფერენციაზე „სამართლებრივი რეფორმა და ადამიანის უფლებები" გამოსვლისას არასამთავრობო ორგანიზაციის „თავისუფლების ინსტიტუტი" წარმომადგენელმა, გიგა ბოკერიამ.

გარდა ამისა, ბოკერიამ განაცხადა, რომ ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლები სხვადასხვა პოლიტიკურ ღონისძიებებში მონაწილეობენ. კერძოდ, მისი თანამშრომელი, ვალერი კვარაცხელია კომუნისტურ ფორუმებში მონაწილეობს.

პარლამენტის პენიტენციალური რეფორმისა და პატიმართა უფლებების დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ, ელენე თევდორაძემ კი აღნიშნა, რომ „უკეთესი იქნებოდა, ომბუდსმენის აპარატი ნეიტრალური ადამიანებისგან შედგებოდეს და არა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისგან, რომლებიც მოღვაწეობას განაგრძობენ.

### გაწვევა ჯერჯერობით ძველებურად მიმდინარეობს

თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას სწორად არ მიაჩნია მრავალრიცხოვანი არმიის ყოლა; არმია მობილური და ბრძოლისუნარიანი უნდა იყოს. ამ განცხადებამდე პარლამენტის ტრიბუნიდანაც არაერთი განცხადება გაკეთდა შეიარაღებული ძალების რიცხოვნების აუცილებელ შემცირებაზე. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება ჯერაც არ მიუღია საქართველოს პრეზიდენტს. 1 მაისიდან კი გაწვევები უკვე დაიწყო.

როგორც გეა-ს კორესპონდენტს საქართველოს სამხედრო კომისარმა, გენერალ-ლეიტენანტმა ნოდარ თათარაშვილმა განუცხადა, გაწვევა ჯერჯერობით ძველი მეთოდებით მიმდინარეობს, ხოლო თუ გამოვა ბრძანებულება არმიის რიცხოვნების შემცირების შესახებ, იგი შეეხება არა მხოლოდ გასაწვევი კონტინგენტის რაოდენობას, არამედ იმ ოფიცრებსა და სამოქალაქო პირებსაც, რომლებიც დღეს შეიარაღებულ ძალებში მსახურობენ.

**გეა**

## მსოფლიოს გარშემო

### ჰელმუთ კოლის ერთ-ერთი მეგობაე



გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატი, რომელიც დაუპირისპირდება ჰელმუთ კოლს, იქნება გერჰარდ შროდერი, რომელიც ამჟამად ქვემო საქსონიის გუბერნატორია. ამას წინათ ჩატარებულ არჩევნებზე ქვემო საქსონიაში, რომელიც გერმანიის ამომრჩეველთა განწყობილების საიმედო მაჩვენებლად ითვლება, მისმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ხმათა 47,9%-ით მოუგო კოლის ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას. რომელმაც ხმათა 35,8% შეაგროვა. სოციალისტების ამ წარმატების მიზეზად მიჩნეულია ის, რომ გერმანიაში ძალიან გაიზარდა უმუშევრობა და — პირველად 1930-იანი წლების შემდეგ — 5 მილიონ სულს მიაღწია. (სურათზე: გ. შროდერი).

### ირანულ-იტალიურ მეგობრობას ისტორიული ფესვები ჰქონია

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ლამბერტო დინის ამასწინანდელი ვიზიტი ირანში გაზეთმა „ირან ნიუსმა" შეაფასა, როგორც „ახალი ჰორიზონტის გამხსნელი" ორი ქვეყნის ურთიერთობაში, გაზეთმა აღნიშნა, რომ „იტალია, რომელსაც ბევრი რამ საერთო აქვს ირანთან ისტორიულ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროში", ევროკავშირის პირველი წევრია, ვინც ისლამურ რესპუბლიკასთან ურთიერთობის გაფართოება დაიწყო;

იტალიასთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის გაფართოების პერსპექტივა საკმარისი აღმოჩნდა, რათა ირანმა დავიწყებას მისცეს ის ფაქტი, რომ ირან-ერაყის ომის დროს 1980 წელს იტალია ერაყს მიემხრო — ასეთია გაზეთის აზრი. რომიდან გაფრენის წინ იტალიელმა მინისტრმაც იმედი გამოთქვა, რომ განვითარდება ევროპისა და ირანის თანამშრომლობა ევრაზიული ინტეგრაციის კონტექსტში.

### იტალიელი სეპარატისტის ბრალდება

ვერონელმა (იტალია) სახელმწიფო პროკურორმა გვიდო პაპალიამ შემდეგნაირად დაასაბუთა თავისი განზრახვა, რომ ჩრდილო იტალიელ სეპარატისტს უმბერტო ბოსის და მის თანამოაზრეებს წაუყენოს ბრალდება უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის ყოლის გამო, რომელსაც ისინი „პალანიის ეროვნულ გვარდიას" უწოდებენ („პალანიას" ისინი უწოდებენ ჩრდილო იტალიის იმ ტერიტორიას, რომლის გამოყოფაც უნდათ). ეს ორგანიზაცია „სამხედრო მახასიათებლების მქონე სტრუქტურააო", იგი მხარს უჭერსო „სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ცხადდება სხვა სახელმწიფოს, და არა იტალიის სახელმწიფოს, ინსტიტუტებად და ორგანიზაციებად." ეს მხოლოდ გამოყოფის იდეის მატარებელი სტრუქტურა კი არააო, არამედ კონკრეტული აქტივობის განმახორციელებელიც იმ გამოყოფის აქტის გასამართლებლად და სარეალიზაციოდ, რომლის მოხდენაც უნდათ. მთავრობისთვის სამხედრო უწყებისა და უშიშროების მიერ წარდგენილი მოხსენება შეიცავს გაფრთხილებას სეპარატისტული საფრთხის ზრდის გამო, რომელიც „ჰგავს 70-იანი წლების პოლიტიკური ექსტრემიზმის ზრდას." მოხსენებაში ნათქვამია, რომ „სხვა ესქტრემისტული წრეებიც გულმოდგინედ მისდევენ ეროვნული ერთიანობის დანგრევის მიზანს."

პანტელეიმონ გიორგაძე:

## „გუშინ იგორს ტელეფონით ვესაუბრე“... „...ფრთხილად იყოს პრეზიდენტი!..“

(მე-4 გვერდიდან)

სათვის იმ პირების ლუსტრირება, რომლებიც სსრკ-სა და საქართველოს სსრ-ის სუკ-ის ორგანოებთან თანამშრომლობდნენ ან დაკავშირებული იყვნენ აგენტურის სახით? — მოგეხსენებათ, მძლავრი უშიშროება ძლიერი სახელმწიფოს გარანტია. თუ მომავალში აგენტურის გაშიფვრის შიში იარსებებს, ეს გარკვეულწილად არასრულფასოვნების კომპლექსს შეუქმნის საზოგადოებას, რომელთა მოზიდვისათვის უშიშროებამ უნდა იმუშაოს.

— თქვენ შეკითხვაში პასუხიც ნათლად სჩანს. რა თქმა უნდა, არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ამას არ გააკეთებენ. რაც არსებობს კაცობრიობა, არსებობს დაზვერვა და კონტრდაზვერვა. ჩემის აზრით, ყველა მასთან დაკავშირებული პირი პატრიოტია. გაივლის რამდენიმე წელი და იგორი ჩამოვა თეთრი ცხენით. აქაც თეთრი ცხენით შეხვდებიან, მაშინ მანაც უნდა ჩაატაროს ლუსტრაცია?

დღეს ეს პროცესი გაანადგურებს იმ ხალხს, რომელიც უწინ იყო ამ სამსახურში. მერე ისინი მოვლენ და ამათ მოსთხოვენ პასუხს უსამართლობისათვის. ასე რომ, თქვენს შეკითხვაში ძალიან კარგი პასუხიც იყო გაცემული.

**— შევარდნაძეზე განხორციელებულ თავდასხმებთან დაკავშირებით, იმ დროს გავრცელდა აზრი, რომ ტერაქტის ორგანიზება თვითონ იმ ორგანოებს ეკუთვნოდა, რომელიც შევარდნაძის მყარ დასაყრდენს დღესაც წარმოადგენს. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— საქართველოში პრეზიდენტს ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე და მტერი რომ ჰყავს, ეს ფაქტია. მთელი მასები მშრომელი ხალხისა მას სწყევლის. ესე იგი, ისინი შევარდნაძის მტრებად უნდა ჩავთვალოთ. გავითვალისწინოთ ისიც, რომ საზოგადოებასა და პრეზიდენტს შორის უდიდესი უფსკრულია გაჩენილი, მაგრამ ჯერ ესენი ისე არ არიან განწყობილნი, რომ ტერაქტი მოუწყონ მას. თუმცა, ერთ დღეს ეს ყოველივე ერთად მოიყრის თავს, რაც ჯერჯერობით არ შეიმჩნევა. შორს არ არის ის დრო, როდესაც ხალხი ქვას მოჰკიდებს ხელს და პრეზიდენტს დაუშენს. მე არ მჯერა, რომ ტერორისტები პროფესიონალების გამოყენებას ცდილობდნენ პრეზიდენტის ფიზიკური განადგურებისათვის, რადგან ეს რომ ასე იყოს, ბატონი ედუარდი დღეს ცოცხალი აღარ იქნებოდა. ყველაფერი, რაც მოხდა, გათამაშებული იყო და ამას აკეთებს ის ხალხი, ვინც პრეზიდენტის გარშემოა და სურს დაუმტკიცოს, შეხედეთ, რა დაზვერვა და კონტრდაზვერვა გვყავს, როგორ ვიცავთ პრეზიდენტსო. თვითონ კი გახარებული გამოდის და ამბობს: შეხედეთ, ერთადერთი პრეზიდენტი ვარ, ჩვიდმეტი ყუმბარმტყორცნიდან მესროლეს და ვერ მომარტყეს. იმას კი ვერ ხვდება, რომ ამით მთელ მსოფლიოს უმტკიცებს თავის უცოდინრობას. მე დარწმუნებული ვარ, გამოჩნდება ისეთი ხალხი, რომელიც მართლა მოინდომებს პრეზიდენტის ფიზიკურ განადგურებას და მიზანსაც მიაღწევს, რადგან ხალხს ყოველივე მოსწყინდა. ბევრიც შურისძიების გრძნობითაა შეპყრობილი, დედა, ძმა, მამა მოუკლეს, სახლი დაუწვეს, ეს ყველაფერი ერთად მოიყრის თავს. უნდა გავაფრთხილოთ პრეზიდენტი, ფრთხილად, ფრთხილად იყოს!

დღეს, რაც ხდება, ეს ხელოვნურად ხდება და თან პრეზიდენტის თანხმობით.

**— თქვენ შვილთან თუ გაქვთ რაიმე კავშირი?**

— გუშინ შემისრულდა ორმოცდათხუთმეტი წელი, რაც მე სოხუმში ფიცი დავდე საბჭოთა კავშირისა და ჩემი სამშობლოს დაცვის შესახებ. შვილმა დამირეკა და მომილოცა.

**კობა კაპანაძე**

## ორნი ყველას წინააღმდეგ ანუ როგორ გადაემტერა ძველი დირექტორი და პროფკავშირის თავმჯდომარე თავის კოლექტივს

დღეს ყველას გული შესტკივა ადგილობრივი წარმოების პრობლემებზე. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა საკმაოდ ძნელი და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა. ალბათ ყველამ ჯერ ვერ გაითავისა, რომ თუ საქართველოში წარმოება არ განვითარდა, ჩვენ მომავალში ცუდი დღე გველის.

ხშირად ვლაპარაკობთ წარმოების ხელისშემშლელ გარეშე მიზეზებზე მაშინ, როცა იშვიათად შუქდება შიდა პრობლემები. სწორი ორგანიზება, ყველა მუშაკის კეთილსინდისიერება და მობილიზება, კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება, მკაცრი ფინანსური პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის აუცილებელი პირობაა. სხვანაირად, ჩვენი საწარმოები ვერ განვითარდებიან. უფრო მეტიც, შეიძლება გაკოტრების პირზეც მივიდნენ. დიდია ხელმძღვანელის როლი ასეთ პირობებში. თუ რა მოჰყვება ამ პირობების უგულვებელყოფას და ხელმძღვანელის დაუდევარ, ანგარებიან ქმედებას ერთი ჩვენი ცნობილი საწარმოს მაგალითი კარგად წარმოგვიჩენს.

### ერთპიროვნული მესაკუთრე

სააქციო საზოგადოება „თბილისის ინვენტარის ფაბრიკა“ რამდენიმე წლის წინათ მთელ ამიერკავკასიას, შუა აზიას და რუსეთის მრავალ რეგიონს ამარაგებდა თავისი პროდუქციით. დაიშალა საბჭოთა კავშირი, დაირღვა ეკონომიკური კავშირები. ასეთ პირობებში ფაბრიკას სწორი ეკონომიური პოლიტიკა, კოლექტივის ერთსულოვნება და მომჭირნეობა თუ გადაარჩენდა. ვის უნდა გაეკეთებინა ეს მობილიზება, თუ არა დირექტორს. ყოფილმა ფაბრიკის დირექტორმა მირიან ანდრიაძემ ყველაფერი მარტო თავის სასიკეთოდ გადაწყვიტა. დაიწყო თვითნებური მმართველობა. ამასობაში ქარხანა საიჯარო კოლექტივი გახდა. ანდრიაძე ისევ ძველი სოციალისტური დირექტორის ფსიქოლოგიით ცხოვრობდა. ათას კომბინაციას აკვარახჭინებდა, ფულს შოულობდა, ჩოგბურთის თამაშით ერთობოდა.

მუშა-მოსამსახურეები კი თვეობით ისედაც მწირ ხელფასს ველარ იღებდნენ. გამოთქმულ პროტესტს გინებით და ხელის აწევით აგვარებდა. ფაბრიკა სრული გაკოტრებისაკენ მიემართებოდა. ითმინეს, ითმინეს და დაუპირისპირდნენ — კოლექტივი პატარა არ იყო, 200 კაცზე მეტი მუშაობდა. და აი, 1997 წლის იანვარ-თებერვალში ორი საერთო კრება ჩატარდა, რომელზეც ანდრიაძე დირექტორობიდან გადაირჩიეს. ბატონი მირიანი ის კაცი არ იყო, შეცდომები ელიარებინა და უმრავლესობის აზრი გაეზიარებინა. დიდი ძალისხმევა დასჭირდა კოლექტივს, რომ „ვაი-დირექტორი“ საქმეებისაგან ჩამოეშორებინა. ფაბრიკაში იმდენად საგანგაშო მდგომარეობა იყო, რომ კონტროლის პალატასაც კი მოუხდა ჩარევა. მათ მიერ გაკეთებულმა რევიზიამ საკანონმდებლო და საბუღალტრო დარღვევების მთელი ბუკეტი აღმოაჩინა: არ იყო დაცული საანგარიშგებო დისციპლინა, საგადასახადო ანგარიშები შეცდომით იყო შედგენილი და ბიუჯეტში საკმაოდ დიდი თანხა არ იყო ჩარიცხული, კერძო პირებისაგან ნაყიდი ნედლეული დაბეგრილი არ იყო, რაც ისევ ფაბრიკის გადასახდელი ხდებოდა. დარღვევები იყო საიჯარო გადასახადებით მიღებული შემოსავლების აღრიცხვაში და სხვა მრავალი. მოკლედ, კონტროლის პალატის პრეზიდიუმის სხდომაზე რევიზიის აქტმა ფაბრიკის ფინანსურ-ეკონომიური საქმიანობის სერიოზული დარღვევები გამოაჩინა. ანდრიაძის „კაცურ პირობას“, როგორც კრება გადაწყვეტს, ისე მოვიქცევიო, შესრულება არ ეწერა. მან ბანკ „არმაზიდან“, რომელშიც ფაბრიკას ანგარიში ჰქონდა გახსნილი, მიუხედავად იმისა, რომ იქ შეტყობინება იყო მისული დირექტორის გადარჩევაზე, 16000 ლარი გამოიტანა და საწარმოს ბეჭედთან ერთად გაუჩინარდა. მან ხელს გააყოლა მაშველთა კორპუსის მიერ გადახდილი საიჯარო თანხა, ხოლო შემდეგ საგამომძიებლო დეპარტამენტის მიერ ჩატარებულმა რევიზიამ დამატებით გამოავლინა კიდევ 20000-მდე ლარის თანხის დატაცება.

დაშინების, ფსიქოლოგიური ტერორის პერიოდი გრძელდებოდა: ახლად არჩეულმა დირექტორმა ზურაბ ბოლქვაძემ და მთავარმა ინჟინერმა ბორის ივანიშვილმა ამისთანები ბევრი იწვნიეს.

ამერიკაში და ევროპაში ცნობილი ბიზნესმენები თავისი ცხოვრების წესით ყოველდღე საქმით ამტკიცებენ, რომ მათი სიმდიდრე მარტო მათი დამსახურება არ არის. ძალიან უფრთხილდებიან რეპუტაციას და სახელგაფუჭებულ კაცს გვერდზე არ გააჭაჭანებენ. ჩვენთან, სამწუხაროდ, კაცს, რომელმაც რაიმე სიკეთე გაგიკეთა, ყველა შემთხვევაში თუ დასჭირდა, უნდა დაეხმარო, რა საქმეც არ უნდა იყოს ეს. ჩვენ შემთხვევაშიც ასე ხდებოდა. ბევრი გავლენიანი პირი შეეცადა ანდრიაძის საქმე მოეგვარებინა, მაგრამ როცა კაცი მართალი არ არის, ძნელია, ვინც არ უნდა იყო, საზოგადოებას თავზე გადაახტე. ყოფილი დირექტორი კოლექტივს ხან „შავებით“, ხანაც „წითლებით“ აშინებდა.

ფაბრიკა 3-4 თვე ვერ ფუნქციონირებდა. საჭირო გახდა სასამართლოს ჩარევა, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზე მხოლოდ ივლისში მოხდა ახალი ბეჭდის აღება და ნორმალური მუშაობის გაგრძელება. ამ პერიოდში ჩატარდა სააქციო საზოგადოების შექმნასთან დაკავშირებული კრება. განაწილდა აქციები, აირჩა სამეთვალყურეო საბჭო. ამასობაში სამართალდამცავი ორგანოებიც დაინტერესდნენ, მას წაღებული ფულის ნაწილი დააბრუნებინეს და დაკავებული ანდრიაძე თავდებით გამოუშვეს. ფაბრიკა 3 თვიანმა მოცდენამ კიდევ უფრო დააზარალა: ვერ ფორმდებოდა ახალი ხელშეკრულებები, ვერ ატარებდნენ საფინანსო ოპერაციებს.

გაკოტრების პირას მისული ფაბრიკის თანამშრომლები ამდენმა ჭირ-ვარამმა საოცრად გააერთიანა. ყველამ იცოდა, რომ შემოსული მოგების დიდი ნაწილი დატოვებული ვალების გადახდას ხმარდებოდა. მაგრამ ამას ვინ დაგიდევდათ, როცა იგრძნეს, რომ ახალი ხელმძღვანელობა ზრუნავდა მათზე და ახალი შეკვეთების მოსაპოვებლად დღე და ღამეს ათენებდა. ფაბრიკას ამ მძიმე პერიოდში ქალაქის მერია, გამგეობა, საგადასახადო ინსპექცია გვერდში დაუდგა. ამ ერთსულოვნებამ ფაბრიკა გადაარჩინა და მომავლის იმედი განუმტკიცა.

### ვის იცავს პროფკავშირი?

1998 წლის 30 აპრილს ფაბრიკაში პროფკავშირების კრება დაინიშნა. 1992 წელს არჩეული თავმჯდომარის ლ. ჭილაიას საკითხი იხილებოდა. მოწვეული დარგობრივი პროფკავშირის თავმჯდომარე ლ. სიხარულიძე და იურისტი ა. ოქროპირიძე ხალხში გასვლას მაინცდამაინც არ ჩქარობდნენ და უფრო მათი „კოლეგის“ დაცვით იყვნენ გართულნი. პროფკავშირელები საქმის გამოკვლევას ითხოვდნენ (თითქოს ამის დრო არ ჰქონდათ!) და კრების გადადებას მოითხოვდნენ. კრებაზე შეკრებილი მუშა-მოსამსახურეთა განწყობა ისეთი იყო, რომ კრებას მაინც ჩაატარებდნენ და მათი არდასწრების შემთხვევაში ფაბრიკის პროფკავშირულ ორგანიზაციას საერთოდ გააუქმებდნენ. კრება ჩატარდა. კოლექტივმა წარადგინა ყალბი ოქმი, რომლის მიხედვითაც 1994 წელს ჩატარებული იყო საარჩევნო კრება, სადაც მოხდა ლ. ჭილაიას ხელახალი არჩევა. ხელმოწერები ყალბი აღმოჩნდა, რაც თანამშრომლებმა იქვე დაადასტურეს. ამის გარდა, ლ. ჭილაიამ კოლექტივის სახელით დაწერა საჩივარი. მასში მოყვანილი ფაქტები აშკარა ცილისწამება აღმოჩნდა. გაარჩიეს კოლექტივის წერილიც, რომელსაც 86 კაცი აწერდა ხელს. იურისტმა ხელმოწერების შემოწმება დაიწყო, იმის მაგივრად, რომ ჭილაიასთვის მოეკითხათ ყალბისმქნელობა. თავმჯდომარეს გაუხსენეს ისიც, რომ როცა ისინი 8-9 თვე ხელფასს ვერ იღებდნენ, საწარმოში რეალიზებული პროდუქციის თანხები და კრედიტები საეჭვო ფასებით დიდი რაოდენობის ნედლეულის შესყიდვას ხმარდებოდა. ამ პერიოდში გაცემული დახმარების თანხა 540 ლარს არ აღემატებოდა. ისიც გაიხსენეს, რომ თანამშრომელი ქალი ვარვარა ოქტაშვილი ისე გარდაიცვალა, ბიულეტენის ფულიც კი ვერ აიღო და თავმჯდომარემ „ჩასასვენებელი სასახლე“ წარმოებაში რომ გაეკეთებინათ, ისიც ვერ მოახერხა. კრებამ დაამტკიცა, რომ ლ. ჭილაიას არჩევის ოქმი ყალბი იყო და მის მუშაობას შეფასება არ მისცა, აირჩა ახალი პროფკომიტეტი და სარევიზიო კომიტეტი. კრების მსვლელობისას მე პირადად ლ. ჭილაიასგან ამ ქმედების გამო რომ სინდისის ქენჯნა აწუხებდა, ვერ ვიგრძენი.

კრებამდე და კრების შემდეგაც ფაბრიკაში ვერ ვიპოვე კაცი, რომელიც ყოფილ დირექტორზე და პროფკავშირის თავმჯდომარეზე რაიმე კეთილ სიტყვას იტყოდა. ასე როგორ უნდა გაამწარო შენი კოლექტივი, რომ შენზე ერთი კეთილი საქმეც ვერ გაიხსენოს.

### იმედით ვცოცხლობთ

ფაბრიკა დღეს კარგად მუშაობს. ანაზღაურებას დროულად იღებენ. თანამშრომლებისათვის სასადილოში სადილი უფასოა. ყველამ იცის, რომ შეიძლება ხელფასი უფრო მეტი ყოფილიყო, რომ არა ძველი ვალები (370000 ლარი იყო ივლისის თვისათვის). ვალები კი ბევრი გადაიხადეს, მარტო ბანკის ვალი 80000-დან 14000-მდე ჩამოვიდა. ფაბრიკას ბევრი ახალი შეკვეთა გაუჩნდა. აწარმოებენ მოლაპარაკებებს გერმანიისა და ბელორუსიის ფირმებთან. ახალ დირექტორს იმედი აქვს, რომ წლის ბოლოს ვალებს მთლიანად გაისტუმრებენ და მომავალი წლიდან მოგებიდან დივიდენდებსაც მიიღებენ.

ყოფილი დირექტორი ანდრიაძე კი მაინც არ ისვენებს. მას მუშები ფაბრიკაში არ უშვებენ. იგი კი მაინც გაიძახის: „გამოძიება გამამართლებს და მე კიდევ დავბრუნდებიო“. მას იმედი არ დაუკარგავს, რომ კიდევ დაეხმარებიან. კოლექტივში იმასაც ხვდებიან, ვინ მფარველობს ყოფილ დირექტორს. გამოძიება 1 წელია გრძელდება. კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, აღარ დაუშვას ზეწოლის ფაქტები და, თუ საჭიროება მოითხოვს, კორუფციასთან მებრძოლ კომისიას მიმართონ.

**კ. ბრეგვაძე**

### მთავარია იყოს ფული

## პრეზიდენტის მრჩევლის ერთი «ბრძნული» აზრის შესახებ

ამას წინათ, ბატონ მიხეილ მაჭავარიანს, პრეზიდენტის მრჩეველს, თუ არ ვცდები, კონფლიქტების საკითხებში ბრძნულად დაუსკვნია, სამაჩაბლოში საქართველოს არავითარი პრობლემა აღარ აქვს, ლტოლვილების დაბრუნება დღესვე შეიძლება, მთავარია იყოს ფული, რომ მათ ნორმალური ცხოვრების პირობები შევუქმნათო. ერთი ჭკვიანი კაცი ამბობდა, მოსაწონია ის ადამიანი, რომელიც წითლდება, რადგან მას სირცხვილისა და ღირსების გრძნობა გააჩნიაო. დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტის მრჩეველი არასოდეს გაწითლდება, რადგან, რასაც სამაჩაბლოზე ამბობს აშკარა სიცრუეა, ხოლო ამგვარი სიცრუის მთქმელ კაცს სირცხვილის ძარღვი გაწყვეტილი აქვს.

მიხეილ მაჭავარიანი, როდესაც ლტოლვილების თავიანთ მიწა-წყალზე დაბრუნების პირობად მათთვის სოციალური პრობლემების გადაჭრას მიიჩნევს, აქ ეტყობა, გულისხმობს ამ ხალხის გადაბუგული და დანგრეული სახლ-კარის აღდგენას, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რომ უამრავი ლტოლვილის მამა-პაპისეული სახლ-კარი ძველებურად შენარჩუნებულია და მათი პატრონები საკუთარ საცხოვრებელს მაინც ვერ უბრუნდებიან, რადგან აღნიშნულ ბინებში პარპაშებენ სეპარატისტი ოსები და ქართველებს შიგნით ცხვირსაც კი არ აყოფინებენ.

ისე, კარგი იქნებოდა, წესად შემოღებულიყო, რომ თანამდებობის პირმა თავისი ნათქვამი პირადად გადაამოწმოს. მაგალითად, მიხეილ მაჭავარიანს უნდა მიეცეს ცხინვალიდან ლტოლვილი ერთ-ერთი ქართველის საცხოვრებელი სახლის მისამართი და დაევალოს იმ სახლის დაბრუნება და იქ ერთი თვის მანძილზე ცხოვრება. ცოლ-შვილის წაყვანას ნამდვილად არ ვურჩევდით, რადგან არ იქნება სწორი ოჯახის უფროსის გაუაზრებელი გადაწყვეტილების გამო ოჯახის თითოეულმა წევრმა აგოს პასუხი და თავის თავზე გამოსცადოს ათასნაირი დამცირება, ფიზიკური ანგარიშსწორება და შესაძლოა სასიკვდილო საფრთხეც, რაც იმ ყველა ქართველის ხვედრია იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ოსი სეპარატისტები აკონტროლებენ.

საინტერესოა, თანამდებობის პირის მიერ ნათქვამი სიტყვა ზემოთ აღნიშნული ექსპერიმენტით რომ მოწმდებოდეს, ე. ი. ნათქვამი სიტყვის სიავკარგე ჩინოვნიკის ტყავზე მისი ზემოქმედების შედეგებით ისაზღვრებოდეს, მაშინ თუ გაბედავდა პატივცემული მრჩეველი იმის თქმას, რომ სამაჩაბლოში ლტოლვილების დაბრუნება მხოლოდ ფულის პრობლემაა და მეტი არაფერი.

**გია თვალავაძე**

# კოლორიტი

**80-იან წლებში თბილისის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ექვსი წელიწადი ერთად ვსწავლობდით მე და გია მაჭარაძე. ისეთი ხალასი იუმორის, გონებამახვილი, მხიარულებაში დიდი იმპროვიზატორული ნიჭის მქონე კაცი, როგორიც გია იყო, მე ჯერ ცხოვრებაში არ შემხვედრია. საოცარია, რომ სიცოცხლის ასე უსაზღვროდ მოყვარული პიროვნება განგებამ საკუთარი ხელით გამოასალმა წუთისოფელს.**

**ქვემოთ გთავაზობთ გია მაჭარაძის სასაცილო ოინებს, ისტორიებს და გამონათქვამებს.**

გია თვალავაძე



### „ქართვლის მამები“

გიამ ვიდეომაგნიტოფონის ყიდვა მოახერხა, რაც მაშინ საკმაოდ უცხო ხილი იყო და მიგვიპატიჟა ბიჭები, მოდით ცოტა დავლიოთ და თან ფილმებს უყურეთო. უარს ვინ იტყოდა. ხუთი-ექვსი ბიჭი ვიქნებოდით, მიუჯექით სუფრას, შევავსეთ ჭიქები და ორიოდე სადღეგრძელოს დალევა მოვასწარით, როცა ეკრანზე შიშველი სექსის კადრები წავიდა. თვალები შუბლზე დაგვასხდა, ზოგიერთი უადგილოდ წამოჭარხლდა და ასეთ ამბავში რომ ვართ, უცებ გიო წამოდგა, იგი თან თამადობდა და გვითხრა: ბიჭებო, ფეხზე ადგომით ქართვლის დედის სადღეგრძელო უნდა შემოგთავაზოთო, თანაც განსხვავებულით უნდა დავლიოთო და საკმაოდ მოზრდილი თიხის ფიალები ჩამოგვირიგა. რა თქმა უნდა, ტრადიციისამებრ, ყველანი წამოვიშალეთ, ავსებული ფიალა ხელში დავიჭირეთ, მაგრამ ვაი, ჩვენს ფეხზე დგომას. ერთი შემოგვხედა გიამ და ჩვეული სიცილით წარმოთქვა: აუჰ, რავა ქართვლის მამებივით დგახართ ბიჭო, რა გაუჭირდება თქვენს ხელში საქართველოსო.

### მარცხი

გიამ გვაცინა: გოგო შემიყვარდა ერთი ნამეტნავად და ცოლად შერთვაც გადავწყვიტე, მაგრამ იმ ჩემი ცოდვით სავსემ მითხრა, მამაჩემს უნდა შეუთანხმო ეგ საქმე, სანამ მამაჩემი არ მოგცემს ნებართვას, მანამ ვერ გამოგყვებიო, თან დამაფრთხო, ცოტა უხეში კაცია, თუ არ მოეწონე სასიძოდ, შეიძლება კინწისკვრით გამოგაგდოს გარეთო. სხვა გზა არ მქონდა, უნდა გამებედა სასიმამროსთან მისვლა და მისი ქალიშვილის ხელის თხოვა, მაგრამ შიშის თუ მორიდების გამო დიდხანს ვერ შევძელი. ერთხელაც კარგად შევთვერი ერთ სუფრაზე, დამიარა ხუშტურმა ჩემი გაბედნიერების საკითხი დაუყოვნებლივ გადამეჭრა და ქოშინით მივადექი ჩემი საცოლის სახლის კარებს. დავრეკე ზარი, გაიღო კარები და შევხედე თუ არა ერთ ამზერილსახიან კაცს, არ ვიცი რა მომივიდა, უცებ გული ამერია, პირდაპირ ფეხებში მივარწყიე სასიმამროს და გონს მოსვლაც არ ვაცადე, თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცი. მეორე დღეს დაზაფრულმა მოვინახულე საცოლე, მაინტერესებდა, რა რეაქცია ჰქონდა ჩემს ვიზიტს მამამისთან და ჩემზე ეჭვი ხომ არ გასჩენია, რადგან მათთან მისვლისას საცოლისთვის თვალი არ მომიკრავს. მალე დავმშვიდდი, რადგან ამ ამბის შესახებ გოგოს კრინტი არ დაუძრავს, მაგრამ სამაგიეროდ მითხრა, თუ ამ ორ დღეში მამაჩემს არ ნახავ, ესე იგი არ გიყვარვარ და შენ შენთვის, მე ჩემთვისო. რა უნდა მექნა, მეორე დღეს დილიდანვე დავიწყე მომზადება სასიმამროსთან მისასვლელად. თმებიც კი გავიკრიჭე, ცკ-ს თათბირზე წამსვლელივით შარვალ-კოსტუმი ჩავიცვი, თეთრ პერანგზე ჭრელი ჰალსტუხი გავიკეთე და მივადექი ჩემს ამშენებელს თუ დამაქცევარს. კარი კი გამიღო იმ შეჩვენებულმა, მაგრამ ერთი შემომხედა თუ არა, დაიღრიალა — კიდევ სარწყევად მოხვედი, შენი დედაო და ისეთი მგლიჯა, კბილები რომ გრძელფესვიანები არ მქონოდა, ყველას დამაძრობდა. მერე გაბრაზებით კარები ცხვირწინ მომიხურა. რას ვიზამდი, ერთი მეც შევუკურთხე და წამოვედი ხელცარიელი.

### დაწებებული ტელეფონი

გია მოგვიყვა: ერთი უჟმური უფროსი გვყავდა სამსახურში და ვიფიქრე, ისეთი ოინი როგორ ვერ უნდა მოვუწყო ამ კაცს, ისე რომ ვერ გაიგოს ამ ოინის ავტორი. ჯანდაბას, ერთ ოინზე ავტორობის პატენტის გარეშე დავრჩებიმეთქი. ერთხელაც სპეციალურად ადრე მოვედი სამსახურში შევიპარე უფროსის კაბინეტში და ტელეფონის ყურმილი, წებო „მომენტი“ რომაა, იმით დავაწებე აპარატზე. უფროსი, როგორც კი მოვიდა, მეორე ოთახიდან გადმოვურეკე. საწყალი, ცოტა ჩქარი კაცია, უტაცია ხელი ყურმილზე და მთელი აპარატი შუბლში უთხლიშია, ტკივილისაგან ერთი კი დაუღრიალა და კინაღამ შეღონდა. ეჭვი ჩემზე რომ არ აელო, ტილო მე დავუსველე და შუბლზე დავადე.

### რას დაემსგავსე...

ჩემმა თანაკურსელმა და მეგობარმა მერაბ ნადირაძემ მიამბო: ერთ სარდაფში მოწყობილ დუქანში მე და გია მაჭარაძე ვსადილობდით და თან ღვინო „სამებას“ ვსვამდით. მოხდა ისე, რომ ღამენათევი ვიყავი და ღვინო მალე მომეკიდა. სუფრაზე თავჩაქინდრული ვიჯექი. გიამ ერთი მაგრად შემანჯღრია და სიცილით მითხრა: მერაბჩიკ, რას დაემსგავსე, კაცო, ამ ღვინოს „სამება“ კი არა, შენთვის „წამება“ უნდა ერქვასო.

### ახალ მანქანას როდის ყიდულობ?

თანაკურსელი გვყავდა გია მანსურაშვილი, თვე არ გავიდოდა, ავარია არ გაეკეთებინა. ბედისწერით მისი სიცოცხლეც ავტოკატასტროფამ შეიწირა. ერთხელაც ახალი მანქანით მოგრიალდა უნივერსიტეტში და ბიჭებს გვითხრა, მომილოცეთ, ახალი მანქანა ვიყიდეო. გიამ ერთი გადახედა მანქანას და მის პატრონს უთხრა, ახალს როდის ყიდულობო. მანსურაშვილი გაოცდა: ეს არის კაცო ახალი, მეტი რა უნდა ვიყიდოო. გიამ ჩაიცინა და მიუგო: ეს ხომ ორ დღეში უნდა დაამტვრიო და მე გეკითხები, მერე ახალს როდის ყიდულობ-მეთქი.

გაგრძელება მომდევნო ნომერში

# ახალი ამბები

### ფესტივალის კიდევ ერთი სასიამოვნო საღამო

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ფესტივალ „ბრავოს“ პროგრამით კატია რიჩარელის სოლო კონცერტი გაიმართა. იტალიელი სცენის ვარსკვლავის გუშინდელმა რეპერტუარმა მომღერლის საოცრად ლამაზი ხმა და დიდი ოსტატობა შესანიშნავად წარმოაჩინა. თავის მხრივ ქართველმა მსმენელმა მსოფლიოს წამყვანი საოპერო სცენების სასურველი სტუმარი აღფრთოვანებული ბრავოთი დააჯილდოვა.

როგორც საუბრისას მომღერალმა აღნიშნა, თბილისის საოპერო თეატრით და ქართველი ხალხით მოხიბლული იგი თავის მდიდარ რეპერტუარს ქართულ ნაწარმოებებსაც შემატებდა, რომელთა მოსმენის საშუალება მას ფესტივალზე მიეცა.

კონცერტის ბოლოს კონცერტმაისტერ ვინჩენცო სკალერასთან ერთად მომღერალი ფესტივალის პრიზით დაჯილდოვდა.

### საოპერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი გრძელდება

„როგორც ფესტივალის მუსიკალურმა ხელმძღვანელმა, შემიძლია ვთქვა, რომ ყველაფერი მაღალ დონეზე მიმდინარეობს. ეს დიდი ბედნიერებაა და მე მგონი, ქართველი მუსიკის მოყვარულები და ხელოვნების თაყვანისმცემლები მადლიერნი უნდა იყვნენ პაატა ბურჭულაძის, რომელმაც ასეთი ზეიმი მოუწყო საქართველოს“ - აღნიშნა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას ვახტანგ მაჭავარიანმა.

გუშინ ოპერის თეატრში საკონცერტო შესრულებით ჯაკომო პუჩინის ოპერა „ტოსკა“ აჟღერდა, რომელშიც ტოსკასა და კარავადოსის პარტიები გერმანელმა სოპრანომ ალესანდრა მარკმა და ბულგარელმა ტენორმა კალუდი კალუდოვმა შეასრულეს.

ალესანდრას მიერ შესრულებული პარტიები ბერლინის, რომის, ბავარიის, ჩიკაგოს, ქოვენთგარდენის, დრეზდენის საოპერო თეატრის სცენებზე განხორციელდა. „ბრავოს“ ალექსანდრა მარკმა ტოსკას სახით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პარტია მიუძღვნა.

„ალესანდრა მარკს ვაფასებ როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მომღერალს. ტოსკას არის უკეთესი შესრულება მე ჯერ არ მსმენია“ - განაცხადა ვახტანგ მაჭავარიანმა.

„ალესანდრა მარკის ხელოვნებამ დიდებული შთაბეჭდილება დატოვა. ასევე ძალიან მომეწონა ბულგარელი ტენორი. ფესტივალი დღესასწაულია და ასეთი დღესასწაულები საოპერო თეატრში უნდა იყოს“ - აღნიშნა გოგი ნიჟარაძემ.

თვითონ მომღერალმა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას თავისი გუშინდელი დებიუტი ასე შეაფასა: „ისევე, როგორც ბევრი სხვა მომღერალი, რომლებმაც გალა კონცერტში იმღერეს, მეც გაციებული ვარ, რის გამოც დასაწყისში თავს ცოტა არაკომფორტაბელურად ვგრძნობდი, მაგრამ პირველი აქტის მერე ამ მდგომარეობიდან გამოვედი, ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად პარტნიორების დამსახურებაცაა“.

მსმენელს კონცერტზე კიდევ ერთი სასიამოვნო შეხვედრა ელოდა: სკარპიას პარტია საფრანგეთიდან ჩამოსულმა ბანმა, ომარ გაგნიძემ მისთვის ჩვეული აკადემიურობით შეასრულა. მთავარი პარტიების შემსრულებლეს ღირსეული პარტნიორობა გაუწიეს ახალგაზრდა მომღერლებმა გიორგი გაგნიძემ და მამუკა ნიკოლაიშვილმა, ცნობილმა ბანმა გია ასათიანმა და ტენორმა ვანო კოკოლიამ. საფესტივალი ორკესტრად წოდებულ ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ორკესტრს გუშინ ახალგაზრდა დირიჟორმა, ბათუმის სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელმა დავით მუქერიამ უდირიჟორა, რომელმაც ამ რთულ ამოცანას ბრწყინვალედ გაართვა თავი.

გეა

# სატირა

### საელიტო სალაღობო

კომუნისტობდით,
გვმოძღვრავდით,
თითქოს ბანდიტებს არ
ჰგავდით
და მაინც ბლომად იშოვეთ
კომუნისტური მანდატით.
დღეს მგონი ზოგ-ზოგ
ქართველთან,
ფორდი, მორგანი ნულია,
იმდენი ნაძარცვ-ნაღლეტი
ოქროები და ფული აქვთ.
გვასწავლეთ მაგ თქვენს
ბიზნესში
რა საიდუმლო არის შიგ,
რითი იყიდეთ ქოხები
ამსტერდამში თუ პარიზში.
ლანძღვა-გინებას გიგზავნით
ქურდს და ნაღლეტავ
ფულიანს,
გინებას არა პატარას, არამედ
ცხრა სართულიანს,
„რასაცა გასცემ შენია, რაც
არა, დაკარგულია“.

### შემოძახილი

მუხრან ბატონის გმობითა
კარგს ვერას დავდგამთ
გოდრითა,
ნაღდ ლექსებს ზურგს ნუ
შევაქცევთ,
ნუ გავერთობით ბოდვითა.
შაირი ბევრი გვსმენია,
მცირე და დიდრონ-
დიდრონი,
ზოგის მთელ კრებულს
სჯობია
მუხრანის ერთი სტრიქონი.
სცადეს და ვერ კი ამოსდეს
მის პოეზიას ალვირი,
მუხრანის ლექსი ცრემლია
ქართველი კაცის დაღვრილი.
დიახ! ცრემლი და სისხლია
ყველა ასო და მარცვალი,
მტერს არ უყვარდეს
მუხრანი,
ეს გასაკვირი არც არი.

ნიკოლოზ იოსებიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

SPORT **სპორტის სამყარო** SPORT

# თურმე, სისხე სულაც არ უშლის ფეხბურთის თამაშს ხელს

ტუნისში ჩვენი ნაკრების თამაში ქართველ გულშემატკივართა დიდ ინტერესს იწვევდა. პირველ რიგში საინტერესო იყო შეძლებდა თუ არა ვლადიმერ გუცაევი იმ ოპტიმალური შემადგენლობის გამოყვანას, რომლებიც გუნდის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ. მეორე, როგორ ითამაშებდნენ ის ფეხბურთელები, რომლებიც მწვრთნელთა თუ სხვა მიზეზთა გამო თავიანთ კლუბებში ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან და მესამე, როგორ შეერწყმებოდნენ დებიუტანტები ნაკრების სათამაშო სტილს.



სიმართლე ენდა ითქვას, ჩვენს ნაკრებს აშკარად ეტყობა იმ გამოცდილების შეძენა, რაც ესოდენ საჭიროა გუნდისთვის. ჩვენმა ფეხბურთელებმა აჩვენეს ის კლასი, როგორსაც დიდი ხანია ელოდება მათი გულშემატკივარი. თამაშის დასაწყისიდან ისინი მთლიანად აკონტროლებდნენ მატჩს და თამაშის ბოლომდე სადავეებიც ხელიდან არ გაუშვიათ. მთელი თამაშის მანძილზე ჩვენმა ბიჭებმა მეტოქეს შესთავაზეს ამ პერიოდისათვის მათთვის სასურველი ტემპი და აულელვებლად ჩაამთავრეს თამაში. ჩვენი გუნდი მხოლოდ ერთხელ გაბრაზდა და ისიც გაშვებული გოლის შემდეგ. მათ არ უნდოდათ მოსაგები თამაში ფრედ დაემთავრებინათ. მაგრამ ჩვენი ბიჭები ინერციითლა მოქმედებდნენ და თამაშიც ლოგიკურად დასრულდა. დავიწყოთ თავიდან: თამაში მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. მაგრამ ჩვენმა ნაკრებმა სწრაფად იგდო თამაშის სადავეები ხელთ და როგორც ზემოთ აღინიშნა, თავიანთი ტემპი შესთავაზა მეტოქეს. მოედნის ცენტრში კარგად მოქმედებდნენ ნახევარმცველები, განსაკუთრებული აღნიშნვის ღირსია გიორგი ქინქლაძე. ჩემი აზრით, მან იპოვა ის თამაში, რომელსაც ორი წელია ელოდება ჩვენი საფეხბურთო სამყარო. მის გააზრებული გადაცემები ბევრ თავსატეხს უჩენდა ტუნისელთა დაცვას. ტუნისელებმა ასე თუ ისე მოახერხეს ჩვენი თავდამსხმელების განეიტრალება, ჩვენი ნაკრების ნახევარმცველთა ინდივიდუალურ გარღვევებს ვერაფერი დაუპირისპირეს. ჩვენი გუნდის მარჯვენა ფრთაზე ნაყოფიერად მოქმედებდა გოჩა ჯამარაული, იგი რომ ძლიერი ინდივიდუალისტია, კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ მისი დაცვაში თამაში ჩვენთვის მოულოდნელი გახლდათ. რაც შეეხება მარცხენა ნახევარმცველ კობიაშვილს, მას აშკარად ეტყობა სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა. ალბათ ამით შეიძლება აიხსნას მისი სუსტი თამაში. იგი რომ უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელია, ამაში ორი აზრი არ არსებობს.

ტუნისში გამგზავრებამდე ვლადიმერ გუცაევმა განაცხადა, რომ იგი თავად დანიშნავდა გუნდის კაპიტანს და ეს ფეხბურთელი იქნებოდა ის, ვინც სამაგალითო იქნებოდა მთელ გუნდში. სიმართლე ითქვას, გუცაევმა თავისი სიტყვა შეასრულა და ჩვენი ნაკრების ახლადდანიშნული კაპიტანი მართლაც სამაგალითო იყო მთელს მოედანზე. ნემსაძე რომ ყოველ თამაშში ბოლომდე იხარჯება, ეს კარგად ვიცით, მაგრამ გუნდის ლიდერად თუ წარმოგვიდგებოდა, ამას ნამდვილად არ მოველოდით. რაც შეეხება ჩვენი ნაკრების დაცვას, ამ ხაზში პრობლემები საკმაოდ ბევრია. განსაკუთრებით ამ მხრივ დაცვის ცენტრი მოიკოჭლებს. გუცაევს ალბათ ბევრი სამუშაოების ჩატარება მოუწევს ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად. დრო კი მას ჯერ-ჯერობით აქვს და როგორც სჩვევია, ამ პრობლემასაც მალე მოაგვარებს. ამ თამაშში ნაკრების კარს დავით გვარამაძე იცავდა. ამ ბიჭს აშკარად ეტყობა პროგრესი. იგი უფრო თავდაჯერებულად გამოიყურება, ვიდრე ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშისას.

მეორე ტაიმში მან ისეთი ბურთი მოიგერია, ბევრ სახელოვან მეკარეს შეშურდებოდა მისი. თუმცა გაშვებულ ბურთში მასაც მიუძღვის ბრალი. მართალი არ ვიქნები, თუ მთლად გვარამაძეს დავაბრალებთ გაშვებულ ბურთს. იმ მომენტში, შეუთანხმებლად ითამაშეს ცენტრალურმა მცველებმა. მათ მეტოქის თავდამსხმელებს მისცეს შესაძლებლობა საჯარიმოში შესვლისა. გვარამაძე შეეცადა დასწრებაზე თამაშს, მისი თავგანწირული ნახტომი ამაო გამოდგა. თუმცა კარში რომ დარჩენილიყო, შეიძლებოდა ბურთი ჩალაძეს მოეგერიებინა და კარიც აულებელი დარჩენილიყო. სამწუხაროდ, დაცვის ხაზი იმდენად სუსტად გამოიყურებოდა, ადრე თუ გვიან ასეთი რამ შესაძლოა მაინც მომხდარიყო.



ჩვენ განგებ ბოლოში მოვიტოვეთ ქინქლაძის თამაში. მან რამდენიმე ეპიზოდში ისეთი რამ გააკეთა, რომ ევროპული გუნდები ალბათ თანხებს არ დაიშურებენ მის შესაძენად.

პირველი ტაიმის შუა წელში მარცხენა ფლანგზე მან მიიღო ბურთი. ერთი მოძრაობით რამდენიმე მეტოქე ჩამოიცილა და რატომღაც მოედნის მოწინააღმდეგე ფრთაზე დაიწყო თანაგუნდელების ძებნა. მოთამაშეებიდან დაწყებული, გულშემატკივრით დამთავრებული, ყველას ეგონა, რომ იგი ბურთს მარჯვენა ფრთაზე გადააწოდებდა, რამდენიმე წამით ყველაფერი გაჩერდა. გაოგნებული დარჩა ყველა, ვინც კი ამ მომენტს ადევნებდა თვალს. მათ ვერ გაერკვიათ როგორ აღმოჩნდა ბურთი მეტოქის კარის სიახლოვეს. თვით ტელევიზიამაც კი ვერ მოახერხა ამ ეპიზოდის დაჭერა. სამწუხაროდ, ბურთი ძელმა აისხლიტა. მეორე მომენტი, ისევე როგორც პირველი ეპიზოდი, მარცხენა ფრთიდან განვითარდა. გიომ მოატყუა მცველი, მცველის დასახმარებლად დაზღვევაზე გადმოსულ მეორე ფეხბურთელს ფეხებს შორის გაუტარა ბურთი და საჯარიმოში შესულმა ოდნავ წინ გამოსულ მეკარეს ლამაზი ტრაექტორიით თავზე გადაუგდო ბურთი. გადასცდა რა ბურთი მეკარეს, იგი კარის ბადეში გაეხვია. ამ თამაშში ჩვენმა ნაკრებმა თავდაჯერებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. მათ აშკარად ეტყობათ, რომ საკმაო გამოცდილება მიიღეს და ალბათ ისინი ყველანაირად მზად არიან მაღალი მიზნების მისაღწევად.

# ფიფა «ბენფიკასაც» ემუქრება

როგორც იცით, თბილისის „დინამოს" 15 მაისს უმთავრდება ფიფას მიერ წაყენებული ულტიმატუმი თანხის გადახდის გამო. აღმოჩნდა, რომ იგივე სიტუაციაშია „ბენფიკა". ფიფა „ბენფიკასაგან" 30 დღის მანძილზე მოითხოვს თანხის გადახდას „მანჩესტერ იუნაიტედისთვის".

წლევანდელ სეზონში „ბენფიკამ" „მანჩესტერისაგან" შეიძინა ჩეხი ფეხბურთელი პობორსკი და იმ დღიდან არ გადაუხდია შესაძენი თანხა. თანხა კი შეადგენს 3,5 მილიონ დოლარს. ფიფას განცხადებით, მას კარგად ესმის „ბენფიკას" გუნდის ფინანსური გასაჭირი. მაგრამ გადასახდელი თანხა მაინც უნდა დაფარონ. წინააღმდეგ შემთხვევაში „ბენფიკას" შეიძლება საჯარიმო სანქციებიც გამოუტანონ.

# «არსენალმა» თავისი მაინც გაიტანა

ინგლისის პრემიერლიგაში საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობდა ბრძოლა პირველი ადგილისათვის. ინგლისის ბოლო დროის ლიდერმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" ბოლო ტურებში დათმო თავისი პოზიციები. ამით ისარგებლა ლონდონის „არსენალმა" და ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ბოლო ტურში „არსენალმა" დაამარცხა „ევერტონი" 4:0. ამრიგად „არსენალმა" უკვე 78 ქულა დააგროვა და მიუწვდომელი გახდა მდევრებისათვის.

„არსენალი" ინგლისის თასის ფინალში არის გასული. 16 მაისს თუ ისინი დაამარცხებენ „ნიუკასლს", მაშინ ეს გუნდი 1971 წლის შემდეგ პირველად გააკეთებს დუბლს.

# მურთაზ ხურცილავას დებიუტი, ანუ „დინამომ" ისევ ძველებურად გაიმარჯვა

**„დინამო":** ზოიძე, ლობჟანიძე, გუჩუა, ბურდული, სახვაძე, კვარაცხელია, კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, მუჯირი, ხომერიკი.

**„მაღაროელი":** გველესიანი, იობაშვილი, ბიწაძე, შეყილაშვილი, ჩიქვილაძე, ტეფნაძე, ბუიშვილი, ბარამიძე, კავთელაძე, მწყერაშვილი.

**გოლები:** 1-0 ბურდული, 2-0 ხომერიკი.

**მატჩის არბიტრი** მ. მალაღურაძე (თბილისი)



თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დინამოელთა იერიშებით დაიწყო. ვერ გეტყვით მწვრთნელის დავალება იყო თუ მუჯირის მიბაძვა, ყველა დინამოელი საჯარიმოს მიახლოვებისას ცდილობდა შორიდან დარტყმას. მაღაროელთა დაცვა იმდენად სუსტად გამოიყურებოდა, რომ დინამოელები ინდივიდუალურადაც საკმაოდ ადვილად აღწევდნენ მეტოქის საჯარიმოში. ჩვენ ვერ შევუდგებით ამ თამაშის აღწერას, რამეთუ მატჩი მეტად უინტერესოდ წარიმართა. ჩვენ ამჯერად მხოლოდ გოლების აღწერას შემოგთავაზებთ.

გივი დიდავას ნაკრებში გამოძახების გამო მისი ადგილი ბურდულმა დაიკავა და საკმაოდ ნაყოფიერადაც გაირჯა. თამაშის 27-ე წუთზე ჭიათურელთა მცველის მოგერიებული ბურთი ბურდულს მიუვიდა. მანაც შეუჩერებლივ ძლიერად დაარტყა კარის მიმართულებით. ბურთი ზედა ძელს გაეხახუნა და მარცხენა ცხრილში გავიდა. რაც შეეხება მეორე გოლს, იგი თავის ანგარიშზე ხომერიკმა ჩაიწერა. ბურთი კი მისი ინდივიდუალური ოსტატობის, უფრო სწორად, მაღაროელთა დაცვის უსუსურობის ნაყოფი იყო.

მურთაზ ხურცილავას დებიუტი „დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე წარმატებული გამოდგა. თუმცა ხურცილავას დამსახურება „დინამოს" გამარჯვებაში მცირე იყო. როგორც მან განაცხადა, სეზონის ბოლომდე არ ჩაერევა აკობიას საწვრთნელ პროცესში და სეზონს გუნდი აკობიას თაოსნობით დაამთავრებს.

# „ოდიშმა" კვლავ დიდი ანგარიშით წააგო

წინა ტურში ზუგდიდის „ოდიშმა" საკუთარ მოედანზე დიდი ანგარიშით დათმო თამაში თბილისის „მერანთან". პირველი წრის დასაწყისში გუნდი, რომელიც ლიდერობდა, დღეს მძიმე კრიზისს განიცდის. ეს თვალნათლივ დაგვანახა რუსთავში ნათამაშევმა თამაშმაც. თუ მერანთან" წაგებულმა მატჩმა ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რუსთავში ნათამაშევი მატჩის შემდეგ აშკარა გახდა, რომ „ოდიშს" შველა სჭირდება. თამაში კი 3:0 დამთავრდა რუსთაველთა გამარჯვებით.

### გთავაზობთ სხვა მატჩების ანგარიშებს:

„მარგვეთი" — თსუ 1:0

„სამგურალი" — „ლოკომოტივი" 2:0

„დილა" — „სიონი" 1:0

„მერანი" — „ფოთი" 1:2

„ტორპედო" — დინამო" (ბთ), მატჩი გადაიდო ბათუმელი ფეხბურთელების ნაკრებში გამოძახების გამო.

„ვიტ-ჯორჯიასა" და „გურიას" შორის მატჩი გადაიდო ლანჩხუთის ფეხბურთელთა მასიური მოწამვლის გამო.

# „კაიზერსლაუტერნი" გერმანიის ჩემპიონია

ფეხბურთში იშვიათად ხდება, უფრო სწორად გერმანიის ჩემპიონატში საერთოდ არ მომხდარა ისეთი რამ, რაც წლევანდელ გათამაშებაში მოხდა. ქვედა ლიგიდან გადმოსულმა „კაიზერსლაუტერნმა" ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. პირველ რიგში, ეს ალბათ ამ გუნდის მთავარი მწვრთნელის ოტო რეჰაგელის დამსახურებაა. იგი კარგი მწვრთნელი რომ იყო, ვიცოდით, მაგრამ ასეთი რამის გაკეთებას მისგან ნამდვილად არ მოველოდით.

„კაიზერსლაუტერნი" ჩემპიონატის დაწყებიდან ლიდერობდა. ლიდერობდა საკმაოდ დამაჯერებლადაც, მაგრამ რატომღაც ყველა ამ გუნდის დაღმასვლას ელოდა. ყოველ შემთხვევაში ჩემპიონატის პირველი ადგილიდან ჩამოქვეითებას მაინც.

დრო მიდიოდა. გუნდი პოზიციებს არ თმობდა და სპეციალისტებმაც მიაქციეს ყურადღება იმ ფაქტს, გუნდი საკმაოდ მაღალკვალიფიცირებული ფეხბურთელებით რომ იყო დაკომპლექტებული. მაგრამ ჩავარდნებისგან არც ერთი გუნდი არ არის დაზღვეული. უბრალოდ გრანდ-გუნდები კრიზისს მოკლე ვადაში სძლევენ და თავის პოზიციებს ისევ ამაგრებენ. „კაიზერი" არ განეკუთვნება ასეთი გუნდების რიცხვს და სწორედ ამიტომაც გასაკვირი იყო ამ გუნდისგან ასეთი სტაბილური თამაში. წლევანდელ ჩემპიონატში მას კვალში ედგა მიუნჰენის „ბაიერნი", რომელიც ყველანაირად ცდილობდა მის დაწევას. იყო მომენტები, როდესაც „ბაიერნს" შეეძლო „კაიზერის" გადასწრება. მიუნჰენელთა სამწუხაროდ მათ ვერ გამოიყენეს ის შანსი, რომელიც „კაიზერის" ჩავარდნის გამო შეექმნათ. ოტო რეჰაგელს ეტყობა ყველაფერი თავიდან გათვლილი ჰქონდა. მან კიდევ ერთხელ დაუმტკიცა ფეხბურთის სპეციალისტებს, რომ იგი დიდი მწვრთნელია.

# ევროპაში ყველაფერი ირკვევა

ევროპაში მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით ქვეყნის ჩემპიონატები უჩვეულოდ ადრე მთავრდება. აქედან გამომდინარე უკვე ცნობილია რამდენიმე ქვეყნის ჩემპიონის ვინაობა. ამ დღეებში ამსტერდამის „აიაქსს", „ბარსელონას", „კაიზერსლაუტერნს" ბელგიის „ბრიუგემ" და თურქეთის „გალათასარაიმ" მიბაძეს. ისინი თავიანთი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ.

„გალათასარაიმ" სტამბულში დიდი ანგარიშით 4:1 დაამარცხა „ისტამბულსფორი" და კიდევ ერთხელ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მეორე ადგილზე მყოფმა „ფენერბაჰჩემ" მხოლოდ ფრე გააბერხა და წლევანდელ სეზონში საბოლოოდ ჩამოსცილდა „გალათასარაის". ადვილი წარმოსადგენია, რა ზეიმი ექნებოდათ სტამბულში „გალათასარაის" გულშემატკივრებს. ალბათ მათ დასაშოშმინებლად თურქეთის პოლიციას საგანგებო ზომების მიღება დასჭირდებოდა.

# აჭარაში ყველა ნასვამ კაცს როდი „მიათრევენ“ გამოსაფხიზლებელში

ვის შეუძლია ევრაზიული დერეფანი, რომლადაც საქართველო უნდა იქცეს უახლოეს მომავალში, უტრანსპორტოდ წარმოიდგინოს? ბუნებრივია, არავის, რადგან ერთ-ერთი მთავარი როლი სწორედ ტრანსპორტს ეკისრება. და როცა ევრაზიული დერეფნის მოქმედება ძალაში შევა, საკითხი სტაბილურობა-არეულობის შესახებ არ შეიძლება მაშინ დაისვას. ალბათ, უკვე გვიან იქნება!

აჭარის სატრასნპორტო პოლიციის სამმართველოს უფროსთან **ტარიელ ბერიძესთან** საუბარმა დაგვარწმუნა, რომ ამ მხრივ მღელვარება თითქმის ზედმეტია:

— გასულ წლებთან შედარებით დანაშაულის შემცირების ტენდენცია აშკარად შეიგრძნობა. იყო პერიოდი, როცა ტრასპორტით წასული ტვირთის ნახევარიც ვერ აღწევდა დანიშნულ ადგილამდე. იყო დატაცებები, ყაჩაღობები, დღეისათვის 1990-94 წლებთან შედარებით დანაშაულის ოდენობა 5-ჯერ შემცირებულია, — გვითხრა ბატონმა ტარიელმა.

არც უფრო კონკრეტული ციფრების დასახელებაა ძნელი.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სულ ათი დანაშაულია დაფიქსირებული, ამათგან შვიდი სისხლის სამართლისაა და, როგორც ბატონმა ტარიელმა გვითხრა, ყველა დანაშაულებრივი ქმედება ბოლომდე გახსნილია.

აქვე გაირკვა ისიც, რომ არა მარტო დანაშაულის გახსნაზე მუშაობენ ტრანსპორტის პოლიციის თანამშრომლები, არამედ მის აღკვეთაზეც ჯერ კიდევ ჩადენამდე.

— მთვრალი კაცი პოტენციური სისხლის სამართლის დამნაშავეა და მას ყურადღება დროზე უნდა მიექცეს, — ამბობს სატრანსპორტო პოლიციის სამმართველოს უფროსი.

რა თქმა უნდა, ეს სულაც არ გულისხმობს იმას, რომ აჭარაში ყველა ნასვამ კაცს გამოსაფხიზლებელში უკრავენ თავს. საუბარი ისეთ უმართავ ადამიანებს ეხება, თავის ქმედებებს კონტროლს რომ ვერ უწევენ და ქუჩისთვის, ხალხისთვის საშიში ხდებიან.

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, გაძლიერებული კონტროლი მავნებელი სულაც არ ჩანს, იგი დანაშაულის რიცხობრივ შემცირებაზე აშკარად მეტყველებს.

— ჩვენს შემთხვევაში წვრილმანი დანაშაული უფრო გვხვდება და მას აღვკვეთავთ ხოლმე, თუ დროზე არ მიუსწარი, მერე „მხსვილმანი“ გახდება ხოლმე. საბედნიეროდ, ასეთი შემთხვევები აღარ ფიქსირდება, ეს უკვე იმის მანიშნებელია, რომ ყველაფერი დროულად, ოპერატიულად კეთდება“, — გვიხსნის დანაშაულის სახეებზე საუბრისას ბატონი ტარიელი.

ქვეყანაში შექმნილ სტაბილურ მდგომარეობასთან ერთად დანაშაულის შემცირება ამ რამდენიმე წლის უკან ტრანსპორტის დეპარტამენტში რკინიგზის ობიექტების დატვირთების დაცვის სამსახურის შექმნამაც განაპირობა. ტვირთს, რომელიც გაცილებას ექვემდებარება, თანამშრომლები დანიშნულ ადგილამდე მიჰყვებიან. მუშაობის სტილი დროთა განმავლობაში დაიხვეწა.

...როდესაც ევრაზიის დერეფნის გახსნასთან ერთად ტვირთბრუნვა მოიმატებს და ამასთან ერთად სატრანსპორტო ორგანოების როლიც, აჭარის სატრანსპორტო პოლიციის სამმართველო სრული მზადყოფნით შეხვდება სიახლეს.

**მანანა გელოვანი**

# შევარდნაძის ნათესავებს ყველა გზა მოჭრილი აქვთ?..

ჭორები იმის შესახებ, რომ ყველა სტრუქტურაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მხოლოდ „პრეზიდენტის კაცებს“, მის ახლობლებსა და ნათესავებს აქვთ გზა ხსნილი, კარგა ხანია დაგორავს. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში, ჭორი ჭორად რჩება...

ამასწინათ, პრეზიდენტმა ტელევიზიითაც გააკეთა განცხადება — ვინც ჩემი სახელით მოსულ კაცს ხელს შეუწყობს, დანაშაულს სჩადისო. თურმე შევარდნაძე თავის ახლობლებისადმი დაუმსახურებელ კეთილდამოკიდებულებას სულაც არ ითხოვს. მაშინ ვინ და რატომ ეხმარება მათ? მეტად საჭირბოროტო კითხვაზე პასუხის გაცემა დიდ ენერგიასა და დროს მოითხოვს და მასზე საუბარი სხვა დროისთვის გადავდოთ.

ყველაზე მეტად შევარდნაძის ახლობლობა-ნათესაობაში ეჭვი მათზე ეპარებათ, ვინც ნება-უნებლიეთ ამ გვარს ატარებს და ყველაზე მეტი „პრობლემებიც“ (ჭორების სახით) სწორედ მათ ერგებათ ხოლმე წილად.

„მემკვიდრეობა“ აჭარის საბაჟოს რეგიონალური სამმართველოს უფროსს **გოგი შევარდნაძესაც** „ერგო“ და ბუნებრივია, მისი გვარის შესახებ ატეხილმა ხმაურმა ისიც შეაწუხა.

მე არც ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტი მჭირდება, არც სხვა ვინმესი, საკუთარიც მყოფნის. ჩემი მუშაობით ვამტკიცებ, ვარ თუ არა თანამდებობისთვის შესაფერისი. ბოლოს და ბოლოს, სად შეიძლება ვიმუშაო. აქ არაო, იქ არაო... მე გვარს ვერ გამოვიცვლი, არც უმუშევარი დავრჩები, — აცხადებს ჭორებით განაწყენებული საბაჟო სამმართველოს უფროსი.

რამდენად შეეფერება იგი აღნიშნულ თანამდებობას, ამაში სარფის საბაჟოს ხილვისთანავე დარწმუნდებით. ისეთი კეთილმოწყობილი, როგორიც სარფის საბაჟოა, თვით ევროპაშიც კი ძნელად მოიპოვება. მეზობელი თურქეთი კი იბრძვის თურმე იმისათვის, მათი საბაჟო დაახლოებით მაინც ჩადგეს იმ სტანდარტებში, როგორიც ქართულ მხარეს აქვს.

რა თქმა უნდა, აღნიშნული საბაჟოს კეთილმოწყობაში უმთავრესი როლი აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ასლან აბაშიძეს მიუძღვის, მას კარგად ესმის, ქვეყნის შემოსასვლელი — საბაჟო ქვეყნის სახეა და დიდ მზრუნველობასაც იჩენს ამ მხრივ, მაგრამ ღვაწლს ნურც საბაჟოს უფროსს — გოგი შევარდნაძეს დავუკარგავთ.

მისმა მოსვლამ მთლიანად შეცვალა მდგომარეობა საბაჟოზე. ეს არის ძალზე ენერგიული, პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა კაცი, რომელსაც დიდი გეგმები აქვს, — გვითხრა აჭარის რეგიონალური საბაჟო სამმართველოს უფროსის მოადგილემ შუქრი თურმანიძემ.

ამაში თავადაც დავრწმუნდით. საუბარი, რომელიც საბაჟოს შემდგომი განვითარების პერსპექტივებს ეხებოდა, ყველაფერზე ცხადად მეტყველებდა.

მთელ ქვეყანაში მიდის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. მიმდინარეობს ატესტაციები... მოსამართლეებს მოვუმატოთ ხელფასი, რომ არ იყვნენ კორუმპირებულნი. მასწავლებლებს მოვუმატოთ ხელფასი, ამას მოვუმატოთ, იმას მოვუმატოთ...

ატესტაციები ჩვენთანაც მიმდინარეობს და საკმაოდ წარმატებულადაც, მაგრამ ხელფასის მომატებაზე საუბარი კი ჯერ არ გვსმენია. არადა, მებაჟის ხელში მილიონები გადის, ანაზღაურება შრომისათვის 60 ლარამდე აღწევს. წვრილმანი კორუფციის ელემენტები ჩვენთანაც გვხვდება და როგორმე უნდა ვეცადოთ, რომ კორუფციით დაინტერესება მოვუსპოთ მებაჟეებს, — ამბობს ბატონი გოგი.

აჭარას ძალზე დიდი მომავალი აქვს, ეს იქნება პატარა კუვეიტი, პატარა ოაზისი. ხშირად იკვეთებოდა საუბრისას მსგავსი აზრი, ეს მართლაც ასე იქნება, ალბათ, მომავალში, მანამდე კი ბევრი სხვა ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია გადასაწყვეტი. თუნდაც ბათუმში თავისუფალი ეკონომიკური ზონის არსებობის შესახებ, როგორც ეს უწინ იყო და მას პორტო-ფრანკო ერქვა.

არის თუ არა საჭირო და აუცილებელი თავისუფალი ეკონომიკური ზონის არსებობა აჭარაში, პრეზიდენტის დადებითი პასუხის მიუხედავად ჯერაც ვერ დაადგინეს პარლამენტარებმა.

ფაქტი ერთია, რომ თურქეთში ასეთი ზონა 10-მდეა და მათი რიცხვის გაზრდას ხუთჯერ აპირებენ. რატომ ზრუნავდეს მის გაზრდაზე სხვა ქვეყნები?

— რატომ არ მიიღო პარლამენტმა კანონი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ? იმიტომ, რომ ეს მათ ინტერესებს სულაც არ შესაბამება. ეს მაინც მოხდება საბოლოოდ და არ მესმის, დროს რატომ ვკარგავთ. ჩვენმა ფრაქციამი დაუმტკიცა პარლამენტს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონის არსებობა საქართველოსთვის მომგებიანია, მაგრამ რეაგირება არ მოჰყოლია. სხდომაზე მხოლოდ ის საკითხები გადის და ის კანონები, რომლიდანაც რაღაც გამორჩენას ელოდებიან. ძნელია ამის დასაბუთება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ასეა — გამოთქვა საკუთარი აზრი ბატონმა გოგიმ.

საუბარმა ისევ ძველი ბიუროკრატიული სისტემის აპარატთან მიგვიყვანა.

— სანამ საქართველოში ეკონომიკა არ ამუშავდება, ყველაფერი ისევ ასე იქნება, ცენტრი ძალას კარგავს თანდათან, რაც დღეს საქართველოში ხდება, ყველაფერი ფულის გულისთვის კეთდება, ყველამ თავის გულში ჩაიხედოს... — ამბობს საბაჟოს უფროსი.

პრობლემებზე საუბარი, რომ იტყვიან ამ ბოლო დროს მოდად იქცა. რადგან მას ყველგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით. გასაკვირი არ არის საბაჟოსაც პრობლემები აწუხებდეს, თავის პრობლემები:

— ძველი რენტგენის აპარატურა სსრკ-ს დროიდან რომ შემოგვრჩა, მწყობრიდანაა გამოსული, ფაქტიურად შიშველი ხელებით ვმუშაობთ. ამჟამად შუა აზიიდან ევროპისაკენ მიმავალი ბამბა გადის ჩვენს საბაჟოზე, მისი შემოწმება ფაქტიურად შეუძლებელია, ბამბის გახსნა არ ხერხდება, არადა ღმერთმა იცის, რა შეიძლება იყოს შიგნით. აი, რენტგენის აპარატურა რომ გვქონდეს, მაშინ სხვა საქმეა, — ამბობს ბატონი შუქრი თურმანიძე.

ასეა თუ ისეა, სარფის საბაჟო ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებული საბაჟოა საქართველოში, მაინც შეიძლება ითქვას, ყველაფერი რიგზეაო, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბიუჯეტში შესატან თანხებს დროულად იხდიან და გეგმას გადაჭარბებითაც კი ასრულებენ.

ისევ „მემკვიდრეობის“ გვარისა და ახლობლობა-ნათესაობის პრობლემას თუ დავუბრუნდებით, შეიძლება ითქვას, ბატონ გოგი შევარდნაძეს გვარი სახელს ვერ „გაუტეხავს“, ვერც ავტორიტეტს დაუკარგავს. საქმემან შენმან გამოგაჩინოსო, ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი.

**მანანა ლოგჟანიძე**
**ნანა ძველაია**

# ბათუმში მალე პატარა საერთაშორისო აეროპორტი გვექნება

გაპარტახებული ბათუმის აეროპორტი აღორძინების გზაზე დამდგარი აჭარის ფონზე უცნაურად გამოიყურება. ოცდასამი წელია ბათუმის აეროპორტში ვმუშაობ და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები ჯერ არ ჩატარებულაო, რომ გვითხრა აეროპორტის უფროსმა, ბატონმა **რუსლან დავითაძემ**, ცოტა არ იყოს გაგვიკვირდა. მწყობრიდან თითქმის ან სულ გამოსული დასაფრენი ბილიკი, ტერმინალი და აეროვაგზალი სევდიან სურათს ქმნის. თუმცა საგანგაშო მდგომარეობა უნუგეშო სულაც არ არის.

— ბათუმის აეროპორტი მალე პატარა საერთაშორისო აეროპორტად იქცევაო, ესეც გვითხრა ბატონმა რუსლანმა, რის იმედსაც თურქეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება იძლევა — საპროექტო სამუშაოებისთვის 15,9 მლნ. აშშ დოლარი გამოიყო. ტრანსპორტის მინისტრის პირველი მოადგილე იყო ჩამოსული თურქეთიდან, დავათვალიერეთ მთელი აეროპორტი და მიმდებარე ტერიტორია, ტერმინალს, დასაფრენ ბილიკს და აეროვაგზალს კაპიტალური გაკეთება სჭირდება. თურქეთის მხარე მშენებლობის ხარჯებს იღებს.



აეროპორტის მშენებლობისთვის საჭირო თანხები საქართველოსთვის საჩუქარი რომ არ იქნება, საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს. თურქეთის სახსრებით აგებულ აეროპორტს ერთობლივი გამოყენება ექნება.

— თურქეთის თვითმფრინავები ბათუმში აილებენ საწვავს და საზღვარგარეთ აქედან გაფრინდებიან, ჩვენ მათ კონკურენციას ვერ გავუწევთ, რადგან ახალი ტექნიკა აქვთ. — განგვიმარტა ერთობლივი გამოყენების რაობა ბატონმა რუსლანმა.

დღეისათვის რომ ძალზე სასიკეთო საქმე კეთდება, ეჭვგარეშეა, თუმცა „ხვალეზე“ ზრუნვა რომ „ხვალეს“ მივუგდოთ, არც ის ივარგებს. დაფიქრება ნამდვილად ღირს იმაზე, რომ აჭარაში ქართული ავიაკომპანია ოდესმე იქნება და იგი თურქეთის თვითმფრინავებს კონკურენციას გაუწევს. ეს, რაც ხვალინდელ დღეს შეეხება, დღევანდელი კი კიდევ უფრო მეტად აფიქრებს აეროპორტის უფროსს. დღის წესრიგში ბათუმი-თბილისის რეისის დანიშვნა დგას. რეისის არსებობა ყველას საჭიროდ და გარდუვალად ეჩვენება, კომერციული თვალსაზრისით კი იგი აეროპორტისათვის წამგებიანია, რადგან ფრენის ხარჯებს ვერ ანაზღაურებს. ბატონი რუსლანი ზაფხულის სეზონის მოახლოებაზე ამყარებს იმედს.

— მიუხედავად ყველაფრისა, რეისი ბათუმი-თბილისი აღდგება, — ამბობს აეროპორტის უფროსი.

დღეისათვის ბათუმის აეროპორტიდან დღეში ერთი თვითმფრინავი რომ დაფრინავდეს, ესეც სანუგეშოა, მაგრამ, ალბათ, მალე მოვა ის დროც, 30-32 რეისი რომ ექნებათ დღეში.

**მანანა ლოგჯანიძე**
**ნანა ძველაია**

# ბათუმში სარკინიგზო ბორნის მშენებლობას დიდი პერსპექტივები აქვს



ბიუჯეტის შევსებაში დიდი ხვედრითი წილი მოდის ტრანსპორტზე. იყო დრო, რკინიგზას ბიუჯეტისთვის ერთ-ერთი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა...

წარსულზე საუბარი დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვებას“ რომ არ მიემსგავსოს, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ბათუმის ტერიტორიული სამმართველოს უფროსის მოადგილეს, ბატონ **ბადრი გორგილაძეს** აწმყოზე და მომავლის პერსპექტივებზე ვესაუბრეთ.

— **ბატონო ბადრი, სარკინიგზო ბორნის მშენებლობა ბევრისთვის წარმოადგენს სასიამოვნო სიახლეს. როდის დასრულდება იგი ან რა პერსპექტივები აქვს?**

— ბორნის მშენებლობის დამთავრება აგვისტო-სექტემბრის თვისთვის არის ნავარაუდევი. იგი მნიშვნელოვნად გაზრდის ტვირთბრუნვას შუა აზიიდან ევროპისაკენ და პირიქით. დატვირთული ვაგონები პორტიდან პირდაპირ ბორანზე შევა. სხვა ტრანსპორტთა შორის რკინიგზით გადაზიდული ტვირთის რაოდენობას საკმაოდ დიდი ხვედრითი წილი აქვს და იგი თანდათან გაიზრდება. გასულ წელს რკინიგზის ორგანიზაციებმა ბიუჯეტში 167300 ლარი შეიტანა, შესაბამისად, ეს თანხა ტვირთბრუნვის ზრდასთან ერთად გაიზრდება.

— **მომავალზე საუბარი ადვილი არ არის, მაგრამ აწმყოს რომ გავუსწოროთ თვალი, გაცილებით ძნელი უნდა იყოს. რა მდგომარეობაა დღეს რკინიგზის დეპარტამენტის ბათუმის ტერიტორიულ სამმართველოში?**

— ოცი წლის უკან, უფრო კონკრეტულად, 1978-79 წლებში 10 მლნ ტონაზე მეტი ტვირთის გადატანა მოხერხდა რკინიგზით. მგზავრებიც შესაბამისად, ყველაზე მეტი ამ დროს გადავიყვანეთ. მერე ტვირთბრუნვის შემცირების ტენდენცია იგრძნობოდა თანდათან, ეს პროცესი 1993-94 წლებამდე გაგრძელდა, აქედან მოყოლებული დღემდე ტვირთბრუნვამ ხელახლა იწყო მომატება. ისეთი დანგრეული მეურნეობა, როგორიც რკინიგზა იყო, თანდათან აღსდგა და 13 მლნ ლარი შეიტანა ბიუჯეტში.

— **რკინიგზა მომატებული საფრთხის ზონად ითვლება. თქვენს თანამშრომლებს რაიმე პრივილეგიები თუ აქვთ?**

— რკინიგზა მართლაც მომატებული საფრთხის ზონაა. თანამშრომელთა პასუხისმგებლობა იზრდება, რადგან მან უნდა დაიცვას მგზავრთა უსაფრთხოებაც და ტვირთისაც. პრივილეგიები მხოლოდ ის გახლავთ, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე უფასოდ მგზავრობის უფლება აქვთ, წელიწადში ერთხელ კი ასევე უფასოდ ოჯახის წევრებთან ერთად მგზავრობისა. ხელფასი საშუალოდ 75 ლარი გახლავთ, ეს კი საარსებო მინიმუმის დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის.

— **შემოსავლები იზრდება, ტვირთნაკადი იზრდება, ეს ნიშნავს, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე დადებითი ძვრებია... რას აპირებთ სამომავლოდ?**

— საერთოდ ბათუმის რკინიგზის კვანძზე მომუშავეთა მონდომება დიდია. 40-50 ათასი ტვირთამწეობის გემის დაცლას რომ 7 დღეში უზრუნველყოფ, ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

ჩვენ ამორტიზებული მეურნეობის გაჯანსაღება დავისახეთ მიზნად და თუ ტვირთნაკადიც იქნება, ჩვენ არ შევრცხვებით.

**ნანა ზურაბიშვილი**

# უმწეოთა სადაზღვევო პოლისის მფლობელთა საყურადღებოდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმწეოთა დამატებითი სამედიცინო დახმარების პროგრამით გათვალისწინებულია სტაციონარული დახმარებაც და ამბულატორულიც. სტაციონარულ დახმარებას ამ პროგრამით დაზღვეულ მოქალაქეებს გაუწევენ პროგრამაში ჩართული სამედიცინო დაწესებულებები სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული დაავადებების სამკურნალოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი წარადგენს მკაფიოდ და წესების ზუსტი დაცვით შევსებულ პოლისს. პოლისის წარდგენისას აუცილებელია თან იქონიოთ პასპორტი, საქართველოს მოქალაქის ან დევნილის მოწმობა, ან საპენსიო წიგნაკი — დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც არის გაცემული თქვენი პოლისი. ეს აუცილებელია, რათა სამედიცინო პერსონალი დარწმუნდეს, რომ პოლისი თქვენ გეკუთვნით და დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე უნდა გაგიწიონ. ამბულატორულ დახმარებას თქვენ გაგიწევენ ამბულატორული ტალონის წარდგენისას ისეთ პოლიკლინიკურ დაწესებულებაში, რომელიც უმწეოთა პროგრამაში მონაწილეობს. ტალონიც სრულად და მკაფიოდ უნდა იყოს შევსებული და თან უნდა ახლდეს პოლისი და მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღსანიშნავია, რომ ტალონით გათვალისწინებული ამბულატორული დახმარების მოცულობა წლის განმავლობაში თუ არ გაიხარჯა, წლის ბოლოს ტალონის მოქმედების ვადის გასვლასთან ერთად უქმდება; ძველის სანაცვლოდ მფლობელმა ახალი ტალონი უნდა მიიღოს იმავე დაწესებულებაში, სადაც პოლისი გადასცეს.

იმ მიზნით, რომ გაიოლდეს პოლისის წარდგენის საფუძველზე სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეულის მომსახურება, 1998 წლიდან გაიცემა უმწეოთა ახალი ნიმუშის პოლისი, სადაც მსურველს შეუძლია ჩააკრას ფოტოსურათი, რომელიც დამოწმდება კომპანიის უახლოესი ფილიალის ბეჭდით. ამ შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებაში პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტის წარდგენა საჭირო აღარ იქნება. მათ ვისაც ამჟამად ხელზე აქვთ წინა წლებში მიღებული, ე. ი. ძველი ნიმუშის პოლისი, ახალი პოლისები დაურიგდებათ მიმდინარე წლის მეორე ნახევარში; კონკრეტული ვადები ინფორმაციის მასობრივი საშუალებებით დამატებით გამოცხადდება. მნიშვნელოვანია, რომ ძველი ნიმუშის პოლისები ძალაშია მხოლოდ 1998 წლის ბოლომდე.

პოლისისა და ამბულატორული დახმარების ტალონის მისაღებად არც ერთ ინსტანციაში არავითარი თანხის გადახდა არ არის საჭირო.

ნებისმიერი გაუგებრობის შემთხვევაში სამედიცინო დახმარების მოცულობასთან, ხარისხთან, რაიმე თანხის გადახდასთან დაკავშირებით ან სხვა სახის საჭიროებისას უნდა მიმართოთ დაწესებულების ხელმძღვანელს და ეცადეთ მიიღოთ წერილობითი ოფიციალური განმარტება თქვენთვის პრობლემურ საკითხზე.

ბევრ საინტერესო და აუცილებელ ცნობასა და განმარტებას მიიღებთ, თუ პოლისზე მოთავსებულ ინფორმაციას ყურადღებით გაეცნობით.

თუ სამედიცინო დაწესებულებაში მიღებული დახმარებით ან განმარტებით უკმაყოფილო რჩებით, მოგვმართეთ სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიაში ან კომპანიის უახლოეს ფილიალში.

კომპანია და მისი მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ, რათა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება დაზღვეულებმა სრულად და ხარისხიანად მიიღონ.

**P. S.** ნებისმიერი გაუგებრობის შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიას:

თბილისში — გამსახურდიას პრ. 30, ტელ. 388521, 389849

ქუთაისში — ი. ჭავჭავაძის 31, ტელ. 50585

ზუგდიდში — სპ. კედიას 4. ტელ. 25581

ფოთში — ტელ. 52352, 51486

მესტიაში — ტელ. 22757

ბათუმში — ერას 95, ტელ. 70324

ოზურგეთში — ჭავჭავაძის 3, ტელ. 65539

ამბროლაურში — ბრატისლავა-რაჭის 11, ტელ. 21407, 21168

რუსთავში — სპორტის 2, ტელ. 124344

გორში — მოსკოვის 1, ტელ. 24777

თელავში — ფალიაშვილის 27, ტელ. 33199

მცხეთაში — ღვინჯილიას 1, ტელ. 2305

ახალციხეში — რუსთაველის 105ა, ტელ. 20205

აფხაზეთის ფილიალი:

თბილისში — ყაზბეგის პრ. 32-34, ტელ. 392587

ზუგდიდში — სტალინის 24, ტელ. 25384

**სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია გისურვებთ ჯანმრთელობას!**


გამოიწერეთ გაზეთი

## „საქართველო“

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
- გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
- დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
- რ.თაბუკაშვილის ქ. №12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
- ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.



## ექსპრეს აუდიტ სერვისი

*ლიცენზია №091*

*გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას*

*ზოგად აუდიტში*

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
ქონების შეფასება-გადაფასება;
ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5, მე-2 სართ. ტელ.: 93-15-89



## რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო“ თავისი ნომრის ერთ გვერდს
უთმობს სარეკლამო განცხადებებს.
რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.
ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის
**უფასოა**
დაგვიკავშირდით ტელ.: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული,
გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.


## განცხადებები

ქირავდება ტეტელაშვილის (ყოფილი ჩოდრიშვილის) ქუჩაზე (პლეხანოვზე) საცხოვრებლად ან საოფისედ 2 ოთახიანი ბინა. ტელეფონით. ფასი 200 დოლარი. ტელ. 76-88-33 ჰამლეტი

---

ქირავდება 1 ოთახიანი იზოლირებული ბინა კორპუსში, ტელეფონით. დეზერტირების ბაზრის წინ. ტელ: 34-89-30 ნანა

---

ვიქირავებ 2 ან 3 ოთახიან ბინას ოფისისათვის შესაფერის ადგილას. ტელ 95-95-85. ფასი 200 დოლარამდე.

---

იყიდება საკუთარი კაპიტალური სახლი მეტრო „300 არაგველთან“ 4 ოთახი ყველა სათავსოთი. აბაზანა, ტუალეტი კაფელში, 2 სარდაფით, გარემონტებულია. საერთო ფართი 130 კვ. მ. ფასი 35000 დოლარი. მისამართი: წინანდლის ქუჩა №5ა ტელ: 74-50-97 ემა

---

იყიდება აგარკი, ნორიოში, მდინარის პირას. 2 სართულიანი სახლი მანსარდით. 600 კვ. მ. ხეხილიანი ეზოთი. საწყისი ფასი 25000 დოლარი. ტ. 22-27-76

### საჭადრაკო ეტიუდი
### ი. გარცენფელდი



შამათი 5 სვლაში

იყიდება საკუთარი სახლი გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოში. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ: 41-32-84 თემური

---

ვყიდი 3 ოთახიან ბინას 8 სართულიანი სახლის პირველ სართულზე. კუთხის ბინა, 2 სარდაფით. არის საგარაჟე ადგილი. მისამართი: თემქა. მე-3 მ-რ, (პურის ქარხანასთან). ტელ. 35-45-40 ნანა

---

იყიდება 3 ოთახიანი ბინა, ლოჯით, სარდაფით, კოსმეტიკური რემონტით, რკინის კარებით, ტელეფონით. მისამართი: ვაჟა-ფშაველას მე-18 კორპუსი, მე-6 კვარტალი, ბინა 1.

---

იყიდება კერძო ბინა, 4 ოთახიანი, ყველა სათავსოთი, სარდაფით, 100 კვ. მ., არის დაშენების საშუალება, მუდმივი დენით, ტელეფონით. ფასი 35000 დოლარი. მისამართი: კარგარეთელის ქ. 2ა ტელ. 96-79-46 ქეთო

---

იყიდება 5 ოთახიანი ბინა მეტრო „300 არაგველთან“, ჭერის სიმაღლე 3 მ. 30 სმ., საერთო ფართი 100 კვ. მ. მიშენებულია ლოჯი 192 კვ. მ., ლოჯის ქვეშ 2 ავტოფარეხის ადგილია. წყალი და სინათლე მუდმივად არის. ფასი შეთანხმებით. ტელ. 74-52-12 ანა

---

ვყიდი გერმანული კომპაქტდისკების ნაკრებს (50 ცალი) არის კლასიკის, ბაროკოს, რომანტიზმის პერიოდის კომპოზიტორთა და ქანთრის წარმომადგენელთა ნაწარმოებები ბერლინის ფილარმონიის ორკესტრის შესრულებით. სულ 50 კომპოზიტორის 200-მდე ნაწარმოები. ფასი 1200 დოლარი. ტელ: 61-71-43 ნათია

---

ვყიდი 4 ოთახიან არასტანდარტულ სუფთა ბინას, ვაკეში. სანტექნიკა სარემონტო, მე-2 სართულზე (6 სართ). რკინის კარებით, სარდაფით, მანქანის სადგომით. ფასი 70000 დოლარი. ტელ. 22-11-59

---

ვყიდი ჩეხური წარმოების 6 სანთლიან ბროლის ჭაღს. ფასი 500 ლარი. ტ. 22-11-59


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444